გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№27 (922) 21 – 23 მარტი, 2014 წელი
ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ფიცი გვწამს, რეზიდენცია გვაკვირვებს

ვანო მაჭავარიანის შემოსავლები — ხელფასი და პრემია 2007 წლიდან დღემდე



გვ. 2

## „პროცესი თუ არ შევაჩერეთ, ქართველი ერი გადაშენდება“



გვ. 8

რატომ გააყალბეს შობადობის სტატისტიკა ნაციონალებმა და რამდენად ეფექტური იქნება მთავრობის ახალი დემოგრაფიული პროგრამა



გვ. 9

## „ენერგო-პრო ჯორჯია“ პროფსასწავლებლების სტუდენტებს დაასაქმებს

## შავიზღვისპირეთში ახალი პორტების მშენებლობა იგეგმება

## ზუგდიდელი ბიზნესმენის, თემურ ყორშიას ოჯახი როლანდ ახალაიას მკვლელობაში ამხელს



„როლანდ ახალაიამ არ იცის, რომ მამაჩემმა ჩანაწერები გააკეთა, რომელიც რამდენიმე ეგზემპლარად მაქვს შენახული და პროკურატურაშიც დევს!“

25 მარტს ზუგდიდში აქცია იმართება სახელწოდებით — „წართმეული“. აქციის მონაწილეები, ზუგდიდში იმ ობიექტებს, რომელიც მათ წინა ხელისუფლებამ წაართვა, დიდი ასოებით მიაწერენ — „წართმეული“!

გვ. 3

## „პროკურატურა ზურაბ ქვანიას გვამის ექსჰუმაციის საკითხს მალე გადაწყვეტს“



გვ. 6

ექსპრემიერის ცხედრის ექსპერტიზა კანონდარღვევით ჩატარდა, ნაციონალები კი „ეფ-ბი-აის“ გაურიგდნენ?

## თიბისი ბანკის პროექტი ბიზნესის მხარდასაჭერად

თიბისი ბანკი TBC BANK

ბანკის სათავო ოფისში, განსაკუთრებული მომხმარებლებისთვის გაიმართა უფასო ტრენინგი თემაზე „მოტივაცია“

გვ. 5

# ფიცი გვწამს, რეზიდენცია გვაკვირვებს

## ვანო მაჭავარიანის შემოსავლები — ხელფასი და პრემია 2007 წლიდან დღემდე



გიორგი იაშვილი

18 მარტს ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო ინტერვიუს როგორც პოლიტიკურ წრეებში, ისე საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ყოფილმა პრემიერმა ბევრ თემაზე ისაუბრა, მაგრამ მთავარი ორი რამ იყო — პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და ის გულწრფელობა, რომლითაც ივანიშვილი პოლიტიკაში ყოფნის დროსაც ხასიათდებოდა. ის საუბრობს ღიად იმაზე, რაც არ მოსწონს და არანაირ ქვეტექსტებს არ ტოვებს. საპარლამენტო ოპოზიციამ ეს ჭორაობად შეაფასა, რეალურად კი, ნაციონალებს თავის დროზე ასე რომ „ექორავათ", ეგებ, მეტი სიმართლე სცოდნოდა ხალხს და იმ დღეში არ აღმოჩენილიყო, რა დღეშიც ახლაა.

რაც შეეხება მარგველაშვილს, ყოფილ პრემიერს არ მოსწონს პრინციპული განსხვავებები იმ თემებზე, რომლებზეც თითქოს მის გაპრეზიდენტებამდე თანხმდებოდნენ. სწორედ მარგველაშვილი ყოფილა ყველაზე მეტად წინააღმდეგი, ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციაში არ შესულიყო და იქ უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო, საინტერესოა, რომელი — „ჯიპა" ხომ არა? დღეს კი გაპრეზიდენტებამდე მარგველაშვილის მიერვე „ბოროტების ბუდედ" მონათლულ რეზიდენციაში სტუმრებს იღებს და ოფიციალურ შეხვედრებსაც მართავს. არადა, ივანიშვილმა ის კაბინეტი დაუტოვა, რომელსაც პრემიერობისას თავად იყენებდა და არანაკლებ მნიშვნელოვან შეხვედრებს მართავდა. რატომ არ აკმაყოფილებს მარგველაშვილს ის, რაც აკმაყოფილებდა ივანიშვილს, ძნელი სათქმელია.

მარგველაშვილის სურვილი ყოფილა ვეტოს დადება კანონზე, რომელიც თურმე წაკითხულიც არ ჰქონდა. ვის აზრს დაეყრდნო პრეზიდენტი და რატომ დააპირა გუნდის წინააღმდეგ წასვლა, ვერ გეტყვით. ფაქტია, ამის გაკეთებას აპირებდა და რომ გაეკეთებინა, წარმოდგენა არ ექნებოდა, რის გამო გააუქმა კანონი. საპარლამენტო უმრავლესობა ამ ვეტოს დიდი ალბათობით დაძლევდა, თუმცა ეს იქნებოდა უსიამოვნო პრეცედენტი იმისა, რომ გუნდში განხეთქილებაა. პრეზიდენტის არჩევიდან ნახევარი წელიც არ არის გასული და ივანიშვილი მარგველაშვილის ქმედებებით გაოცებულია. ბევრს მიაჩნია, რომ ახალმა პრეზიდენტმა პრინციპულობა გამოავლინა, მაგრამ ჯიუტი თხების ამბავი ხომ იცით, ვიწრო ხიდზე რომ ავლენენ პრინციპულობას და საბოლოოდ ორივე წყალში ვარდება? საქართველო ახლა ბეწვის ხიდზე გადის და ეს ყველაზე უკეთ ახლადარჩეულ პრეზიდენტს უნდა ესმოდეს, ანგარიშსაც საკუთარ პრინციპებს კი არა, ქვეყნის ინტერესებს უნდა უწევდეს. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მარგველაშვილს შეკვეცილი უფლებები არ ჰყოფნის, მეტი უნდა, მაგრამ ეს „მეტი" კონსტიტუციას რომ ეწინააღმდეგება, ესეც ფაქტია. უფლებაშეკვეცილი პრეზიდენტი ვერ დაეტია იმ ორ ოთახში, რომელშიც უფლებაგაზრდილი პრემიერი ეტეოდა... აკაკი წერეთლის „ღამურა" წაკითხული უნდა ჰქონდეს ბატონ გიორგის.

მეორე თემა მიხეილ მაჭავარიანის ძმის, ივანე მაჭავარიანის მრჩევლად დანიშვნა იყო. რეალურად, ყურს ძალიან ცუდად ხვდება ის, რომ პრეზიდენტის სახე წინა პრეზიდენტის მეგობრისა და თანამებრძოლის ალალი ძმაა და რადგან „ვერსიაში" არაერთი ექსკლუზიური ინტერვიუ გამოქვეყნებულა ვანო მაჭავარიანთან, ჩვენ შევეცადეთ, მოგვეძიებინა გაუხმაურებელი ოფიციალური ფაქტები და შემოსავლები.

მისი სამსახურის შესახებ ცნობები 2007 წლიდან მოვიძიეთ. ამ წელს ვანო მაჭავარიანი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში მუშაობდა და ხელფასის სახით 15 000 ლარი აქვს მიღებული. 2008 წელს იგი უკვე შპს „ლობოს" თანამშრომელია და ხელფასად 14 000 ლარი ერიცხება. 2009 წელს მაჭავარიანი საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს და თვიური შემოსავალი სულ რაღაც 800 ლარი აქვს. 2011 წლიდან მაჭავარიანი საქართველოს რკინიგზაში იწყებს მუშაობას, მისი ჯამაგირიც 44 704 ლარია. მაჭავარიანი 2012 წლის ივნისამდე ისევ საქართველოს რკინიგზაში ირიცხება და ამ ხნის განმავლობაში 4326 ლარს იღებს. ამის შემდეგ სამუშაოდ იმ საპარტნიორო ფონდში გადადის, რომელიც ივანიშვილმა ახსენა. რეალურად, ახალ სამსახურში მაჭავარიანის ჯამაგირი მაღალი არაა, თუმცა პრემიების დარიცხვის შემდეგ სოლიდური თანხა გამოდის. 2012 წლის ივნისიდან იმავე წლის ოქტომბრის ჩათვლით, მაჭავარიანის შემოსავალმა ხელფას-პრემიების დაჯამებით, 104 479 ლარი შეადგინა, ანუ უხეშად რომ ვიანგარიშოთ, მისი თვიური შემოსავალი 20 ათასი ლარია.

ამის შემდეგ მაჭავარიანი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში გადადის სამუშაოდ და რვა თვის განმავლობაში საერთო ჯამში 13 073 ლარს იღებს. შემდეგ კი იწყება სამსახური პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. 2013 წლის დეკემბრიდან 2014 წლის თებერვლის ჩათვლით, ხელფასის საერთო ოდენობა 26 897 ლარს შეადგენს, რაც თვეში 4375 ლარია. ერთი შეხედვით, მაჭავარიანის ძმას სოლიდური ხელფასი აქვს, მაგრამ როცა პრეზიდენტის მრჩეველი გქვია, ალბათ, ასეც უნდა იყოს. ერთი დიდი პლუსი, რაც ჩვენს მიერ მოძიებულ საბუთებში აღმოვაჩინეთ, ის არის, რომ ამ კაცს ჯერჯერობით პრემია არ აუღია და ეს მაშინ, როცა წინა პრეზიდენტის გაურკვეველი მიმართულებების მრჩევლები თვეში რამდენიმე პრემიას იწერდნენ. სხვათა შორის, ივანიშვილს არ უთქვამს, გინდა თუ არა, მარგველაშვილმა მაჭავარიანი უნდა მოხსნასო და არც მისი პროფესიონალიზმი დაუყენებია ეჭვქვეშ. რეალურად, ყოფილ პრემიერს პრეტენზია მოქმედ პრეზიდენტთან აქვს და ეს სწორედ იმ საკითხებზე პრინციპულად განსხვავებული შეხედულებების გამო, რაც, ერთი შეხედვით, თითქოს გარკვეული იყო. რა მოხდება მომავალში, ერთად ვნახავთ, მანამდე კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სამოქალაქო სექტორში წასული ბიძინა ივანიშვილი დანაპირებს ასრულებს და თუ ვინმეს მუშაობა არ მოსწონს, ღიად აკრიტიკებს. ამბობენ, ეს პოლიტიკისთვის ცუდიაო, მაგრამ ხალხისთვისაა კარგი და თანაც, ყოფილი პრემიერი საკუთარ თავს ყოფილ პოლიტიკოსსაც ეძახის და რეალურად არაფერს აშავებს. რაც შეეხება მარგველაშვილს, მან დაადასტურა, რომ ივანიშვილის მოსაზრებები მისთვის მუდამ მნიშვნელოვანი იყო და იქნება, მაგრამ ფიცი გვწამს, რეზიდენცია გვაკვირვებს.

| დამსაქმებლის კოდი | დამსაქმებელი | პერიოდი | პირადი ნომერი | დასაქმებული | შემოსავლის ტიპი | შემოსავალი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 206237491 | სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია | 2007 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 15000 |
| 204876492 | შპს ლობო | 2008 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | დივიდენდი | 14000 |
| 203836322 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | 2009 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 800 |
| 202886010 | სს საქარველოს რკინიგზა | 2011 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 2231.05 |
| 202886010 | სს საქარველოს რკინიგზა | 2011 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 42473.03 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201206 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 4346.37 |
| 202886010 | სს საქარველოს რკინიგზა | 201206 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 8.24 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201206 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 37273.43 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201207 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 411.08 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201207 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 1152.93 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201207 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 47.37 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201207 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 1105 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201207 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 6600 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201208 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 1152.93 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201208 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 46.33 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201208 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 1130 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201208 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 13981.82 |
| 204429341 | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 201208 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 522.55 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201209 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 1115.74 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201209 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 48.08 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201209 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 13860 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201209 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 7000 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201210 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 1152.93 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201210 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 54.71 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201210 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 7000 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201210 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 7000 |
| 204429341 | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 201211 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 137.5 |
| 204429341 | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 201212 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 1237.5 |
| 204429341 | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 201302 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 618.75 |
| 204429341 | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 201303 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 618.75 |
| 204429341 | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 201306 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 825 |
| 204429341 | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 201307 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 1237.5 |
| 204429341 | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 201309 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 4200 |
| 204429341 | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 201310 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 4200 |
| 204455446 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | 201311 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 666.67 |
| 204429341 | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 201312 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 1375 |
| 204455446 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | 201312 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 4409.09 |
| 204455446 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | 201401 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 4375 |
| 204429341 | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 201402 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 171.88 |
| 204455446 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | 201402 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | ხელფასი | 4375 |

| დამსაქმებლის კოდი | დამსაქმებელი | პერიოდი | პირადი ნომერი | დასაქმებული | შემოსავლის ტიპი | შემოსავალი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201206 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 4,346 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201206 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | *ხელფასი* | ***37,273*** |
| | | | | | სულ | 41,620 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201207 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 411 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201207 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 1,153 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201207 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 47 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201207 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 1,105 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201207 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | *ხელფასი* | ***6,600*** |
| | | | | | სულ | 9,316 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201208 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 1,153 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201208 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 46 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201208 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 1,130 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201208 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | *ხელფასი* | ***13,982*** |
| | | | | | სულ | 16,311 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201209 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 1,116 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201209 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 48 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201209 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 13,860 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201209 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | *ხელფასი* | ***7,000*** |
| | | | | | სულ | 22,024 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201210 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 1,153 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201210 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | სხვა | 55 |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201210 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | *ხელფასი* | ***7,000*** |
| 404404550 | სს საპარტნიორო ფონდი | 201210 | 1010003216 | ივანე მაჭავარიანი | *ხელფასი* | ***7,000*** |
| | | | | | სულ | 15,208 |

# ზუგდიდელი ბიზნესმენის, თემურ ყორშიას ოჯახი როლანდ ახალაიას მკვლელობაში ამხელს

გიორგი იაშვილი

**25 მარტს ზუგდიდში აქცია იმართება სახელწოდებით — „წართმეულია“. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, აქციაში ხუთასამდე ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. ისინი ზუგდიდში იმ ობიექტებს დაუვლიან, რომელიც მათ წინა ხელისუფლებამ წაართვა და ყველა ობიექტს დიდი ასოებით მიაწერენ — „წართმეულია“! აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ცნობილი ბიზნესმენის, თემურ ყორშიას შვილი ლაშა ყორშიაა. ჩვენთან საუბარში იგი ამ აქციის მიზეზსა და მიზანზე საუბრობს.**




— **ბატონო ლაშა, აქციის ჩატარება ახლა რატომ გადაწყვიტეთ?**

— მიზეზი როლანდ ახალაიაა. ეს უნამუსო კაცი გამოვიდა ტელევიზიით და განაცხადა, ერთი ზუგდიდელი მაინც მაჩვენეთ, ვინც იტყვის, რომ ცუდი კაცი ვარ და ვინმეს რამე წავართვიო. ჰოდა, 500 ზუგდიდელი გამოვა და ყველა იმ ობიექტს, რომელიც ახალაიას ოჯახმა ადგილობრივებს წაართვა, მივაწერთ — „წართმეულია“. მერე მაინც მიხვდებიან პარლამენტარები, ვინ უზის, გვერდით და ვის არ მოუხსნეს იმუნიტეტი. ახალაია არამხოლოდ ატერორებდა ხალხს, არამედ ხოცავდა კიდეც და მისი მსხვერპლი მამაჩემი თემურ ყორშიაც გახლავთ.

— **როგორც ვიცი, ოფიციალური ვერსიით, ბატონმა თემურმა თავი მოიკლა და...**

— ეგ ახალაიას ვერსიაა. ნერვები მღალატობს, როცა ამ თემაზე ვსაუბრობ და ამიტომ ბოდიშს მოგიხდით... დედაჩემი გეტყვით, რა და როგორ იყო. როლანდ ახალაიამ არ იცის, რომ მამაჩემმა ჩანაწერები გააკეთა, ის ჩანაწერები რამდენიმე ეგზემპლარად მაქვს შენახული და პროკურატურაშიც დევს. ერთადერთი კაცი, რომელსაც მამაჩემის სიკვდილი აწყობდა, სწორედ როლანდია და ამას აუცილებლად დავამტკიცებთ. უბრალოდ, მას თავი ყველაზე ჭკვიანი ეგონა და ვერანაირად იფიქრებდა, რომ თემური ყველაფერს ვიდეოზე იწერდა და ინახავდა. ამ დისკებს მისი გარდაცვალების შემდეგ მივაგენით, დისკებსა და ბეჭდიან დოკუმენტებს, რომელიც ახალაიას უკანონო ქმედებებს ღიად ამხელს.

***ამის შემდეგ საუბარში გარდაცვლილი ბიზნესმენის, თემურ ყორშიას მეუღლე ლალი ჯინჭარაძე ჩაერთო, რომელმაც ყველა საკითხი დეტალურად განმარტა:***

— თემურს მთელი ზუგდიდი იცნობდა. 1993 წლიდან დაიწყო საქმე ნულიდან და სამეგრელოში ერთ-ერთ მსხვილ ბიზნესმენად ჩამოყალიბდა. ის რეგიონში „კოკა კოლასა“ და „ბორჯომის“ ექსკლუზიური მიწოდების უფლებით სარგებლობდა. თემურ ჭყონია და მამუკა ხაზარაძეც დაადასტურებენ, რომ მთელი იმ 20-წლიანი ურთიერთობის მანძილზე, ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და საიმედო პარტნიორი იყო. ამას, მოგვიანებით, ლუდის კომპანია „არგოც“ დაემატა, მერე და მერე უამრავი ფირმა დაინტერესდა და აწყობილი ბიზნესის მართვაც იოლი გახდა. გაუბედურებულ და გადამწვარ სამეგრელოში ჩემი ქმარი იყო პირველი, ვინც დიდ ბიზნესს აკეთებდა.

— **დამეთანხმებით, დიდი ბიზნესის კეთება საქართველოში ძნელია, არავინ აწუხებდა ბატონ თემურს?**

— ტყვიების წვიმაში პირადად აცილებდა მანქანებს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა წინ. მე ქმარს მარტო ვერ ვტოვებდი, ერთადერთი შვილი გვყავდა და ისიც მუდამ თან დამყავდა. საკუთარი სიცოცხლის ფასად ვაწყობდით ყველაფერს და ვინც უნდა ყოფილიყო, სათანადო პასუხს ვცემდით. არანაირი პრობლემა არ ყოფილა, ყველაფერი გამართულად მუშაობდა. 2003 წლიდან თემური აქტიურად იყო ჩართული რევოლუციურ ორომტრიალში. ხელმძღვანელობას სთხოვა, თქვენი არაფერი მინდა, ჩემი ქალაქის გალამაზების საშუალება მომეცითო და საკუთარი ინიციატივით დაიწყო ზუგდიდში განათების გაკეთება, კორპუსების კეთილმოწყობა, ღონისძიებებს აფინანსებდა და პატარა ბავშვივით, ეს ყველაფერი უხაროდა. მთელმა ზუგდიდმა იცის, რომ თემურ ყორშია ქველმოქმედებაში ძალიან ბევრ ფულს ხარჯავდა. ყველაფერი 2004 წლის ბოლოდან აირია, როცა თემურს სერიოზული თანხების მოთხოვნა დაუწყეს. აქეთ გამგებელი, იქით — გუბერნატორი... ხელისუფლებაში მყოფთაგან ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, ფულს სთხოვდა.

— **როლანდ ახალია როდის გამოჩნდა?**

— ზუგდიდი პატარა ქალაქია და, შესაბამისად, ყველა ერთმანეთს იცნობს. როლანდი და ჩემი მეუღლეც იცნობდნენ ერთმანეთს. 2004 წელს როლანდმა თემურს სთხოვა, ჩემი დისშვილი ბესო ცხადაია უმუშევარია და ბუღალტრის სტაჟიორად მიიღეო. სამწუხაროდ, თემური დათანხმდა და ერთ წელიწადში ცხადაია, ასევე ახალაიას მოთხოვნით, ჩვენს ფირმაში მთავარი ბუღალტერი გახდა.

— **უარის თქმა არ შეიძლებოდა?**

— იმ დროისთვის ახალაიებმა უკვე ზუგდიდი კი არა, საქართველო ჩაიგდეს ხელში და სხვა გზა არ იყო... ცხადაიას მეშვეობით, მან ზუსტად იცოდა, რა თანხები ტრიალებდა ამ ბიზნესში. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როლანდმა დაიბარა თემური და უთხრა, „ბოგდანის“ ტიპის 10 ყვითელი ავტობუსია ჩამოსაყვანი, სააკაშვილის პიარისთვის გვჭირდებაო. ჩემმა მეუღლემ უარი თქვა და აუხსნა, ყველაზე კარგად შენ უნდა იცოდე, რომ ახლა ამის ფული არ მაქვსო, თუმცა ახალაიამ აუხსნა, ჩემი სახელით მამუკა ხაზარაძესთან მიდი და თიბისი ბანკიდან კრედიტი აიღე, ლიზინგის წესით გავაფორმებთ ამ ყველაფერს, ავტობუსებს მერე ხაზებზე დავაყენებთ და კრედიტს დავფარავთო. თემური წავიდა, ხაზარაძემ კრედიტი მისცა, მამუკა და თემური ერთმანეთს „ბორჯომის“ ბიზნესიდან იცნობდნენ და დიდი ნდობა ჰქონდათ. მოკლედ, თემურმა კრედიტი აიღო და 10 ავტობუსი ჩამოიყვანა. სააკაშვილმა ამ ავტობუსებთან იპოზიორა, მერე კი 6 თვე ისინი ტყუილად იდგა, რადგან ქალაქის ხელმძღვანელობამ წილი მოითხოვა. გაგიჟდა თემური, იმის ახსნა უწევდა, რომ ეს ავტობუსები სხვა მიზნით იყო ჩამოყვანილი. წინასაარჩევნო დანაპირების თანახმად, მათ სოფლებში იაფად უნდა ევლოთ და ამ თანხით მხოლოდ კრედიტი დაეფარათ. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ თემურმა შესთავაზა, გადაიფორმეთ კრედიტი და ათივე ავტობუსი თქვენი იყოს, მე შემეშვითო. ხელისუფლებამ იფიქრა და, საბოლოოდ, რეისები განმუხურსა და ანაკლიაში დანიშნა. იაფი რეისები კიდევ ოთხ სოფელში გაკეთდა და მათ ნათლად დაინახეს, რომ შემოსავალი რეალურად კრედიტის გადახდას ძლივს ჰყოფნიდა. ეს არ აწყობდათ და ექვს თვეში ყველა რეისი გააუქმეს, ხოლო ჩემს ქმარს კატეგორიულად მოსთხოვეს, ან ისე იმუშავებ, როგორც ჩვენ გეტყვით, ან საერთოდ ვერ იმუშავებო. რა გვექნა? თემური ხაზარაძესთან ჩავიდა და უთხრა, კრედიტს ველარ გადავიხდიო და ათივე ავტობუსი თბილისში ჩაუყვანა. იმ დროისთვის ხუთი ავტობუსის ფასი უკვე დაფარული გვქონდა. ბანკმა აუქციონი გამოაცხადა და ათივე ავტობუსი ზუგდიდის გამგეობამ შეიძინა. მათ თითო ავტობუსში 18 ათასი ლარი გადაიხადეს და ეს მაშინ, როცა თემურს 40 ათასი ჰქონდა გადახდილი. ამის მერე ხაზებიც გამოჩნდა და ეს ავტობუსები დღემდე მუშაობს.

*დასასრული მე-4 გვერდზე*



პოლიციის შენობა ნაკვეთით , რომელიც როლანდ ახალაიამ თემურ ყორშიას იძულებით აყიდინა.



ახალაიამ ყორშიას კრედიტი აალებინა და სააკაშვილის პიარისთვის „ბოგდანის“ ტიპის 10 ყვითელი ავტობუსი ჩამოაყვანინა

# ზუგდიდელი ბიზნესმენის, თემურ ყორშიას ოჯახი როლანდ ახალაიას მკვლელობაში ამხელს

*მე-3 გვერდიდან*

**— როლანდ ახალაია რას ამბობდა?**

— რა უნდა ეთქვა, ვითომ ყველაფერზე წუხდა, მაგრამ ჩემს ქმარს მორიგი ხაფანგი დაუგო. ზუგდიდში პოლიციის შენობა იყიდებოდა თავის მიწის ნაკვეთით. როლანდმა ისევ დაიბარა თემური და უთხრა, ამ აუქციონში მიიღებ მონაწილეობას, მიწის ნაკვეთს, შენობას იყიდი, მერე კი მე გადმომიფორმებ და ფულს გადაგიხდიო. ეს საპრეზიდენტო არჩევნებამდე იყო და ახალაიას არ უნდოდა გამოჩენა. ამბობდა, არჩევნებს, უეჭველად, მოვიგებთ, ფული მექნება და დაგიბრუნებო. თემურმა ისევ უარი უთხრა, თანხა არ მაქვსო, თუმცა ახალაიამ აიძულა ამის გაკეთება. საბოლოოდ, მთელი ქონება ბანკში ჩადო, რათა აუქციონზე გასულიყო. ჩვენი ქონების გარდა, ასევე ბანკში ჩაიდო დათა ახალაიას მძღოლის საცხოვრებელი სახლიც და ეს დოკუმენტიც არსებობს. აუქციონის დღეს გაირკვა, რომ ამ მიწაზე პრეტენზია ჰქონდა ვანო მერაბიშვილსაც, რომელიც ამ მიწასა და შენობას კომპანია „პე-ეს-პეს“ ერთ-ერთი შეფის ხელით ყიდულობდა. პირდაპირ აუქციონზე უთხრეს თემურს, ვანოს ინტერესია და გაჩერდიო. გაგიჟდა, ახალაიას დაურეკა, მაგრამ მას ტელეფონი გათიშული ჰქონდა. აქეთ „პე-ეს-პეს“ წარმომადგენელმა დაურეკა ვანოს და მიიღო მითითება, ბოლომდე იბრძოლეო. ჩემმა მეუღლემ ახალაიას დისშვილს დაურეკა, ბიძაშენს ჰკითხე, რა ვქნაო, მაგრამ როლანდი ვერც მან იპოვა. ამის შემდეგ ორივე მხარემ ბოლომდე იბრძოლა და საბოლოოდ მიწა, რომელიც 250 ათასად იყო შეფასებული, 475 ათასად ჩემმა მეუღლემ იყიდა.

**— და ეს ეზო რად უნდოდა ან ერთ, ან მეორე მხარეს?**

— წარმოდგენა არ მაქვს. მერე სააკაშვილის კარზე ახალაიას მერაბიშვილმა აჯობა. როგორც ჩანს, ვანოს აუქციონზე მარცხი მწარედ ახსოვდა და ახალაიამ გარიდება არჩია. მან დაიბარა თემური და გამოუცხადა, ეგ მიწა აღარ მჭირდება, შენთვის მიჩუქნია და სამაგიეროდ, სუპერმარკეტი „ბორჯომი“, რესტორანი ზუგდიდში და თბილისში წერეთელზე, ოროთახიანი ბინა მინდაო. ჩემი მეუღლის კრედიტით ნაყიდი მიწა ჩემს მეუღლესვე აჩუქა და სანაცვლოდ ეს მოითხოვა. ამას მუქარაც მოჰყვა და საბოლოოდ, თემურმა რესტორანი და სუპერმარკეტი ახალაიას დისშვილს, ბესო ცხადაიას გადაუფორმა, წერეთელზე ბინა კი 60 ათასად იყიდა.

**— განცხადება რატომ არ გააკეთეთ?**

— როდის, მაშინ? და ვინმე მოგვისმენდა? განცხადების გაკეთება სასიკვდილო განაჩენზე ხელის მოწერას ნიშნავდა. თემურმა ისიც თქვა, ციხეში ჩავჯდები, მაგრამ დამპირდნენ, თუ დაგიჭერთ, ციხეშივე ჩამოგახრჩობთო. როლანდ ახალაიამ კარგად იცოდა, რომ თემური უკვე ზედმეტი იყო, ცოცხალი მოწმე აღარ სჭირდებოდა. ჩემი ქმარი აშკარად გრძნობდა, მოკვლას უპირებდნენ და ცალკე წერილებს წერდა, ცალკე ვიდეოს იღებდა, სადაც დეტალურად ჰყვება ყველაფერს და ეს დოკუმენტები ჩვენც გვაქვს და პროკურატურაშიც დევს.

მერე ომი დაიწყო. თემური თბილისში იყო და მაშინვე ზუგდიდში წავიდა, ობიექტები რომ დაიკეტოს, ხალხი დაითრგუნებაო. ჰკითხონ ნებისმიერ ზუგდიდელს, რომელი ობიექტი მუშაობდა ომის დღეებში და სად იყო იმ დროს თემური? არც ერთი ობიექტი არ გაუჩერებია. იმ დღეებში მას სამხარეო პოლიციის უფროსმა, თენგიზ გუნავამ დაურეკა და უთხრა, ეგებ მოახერხო და კოდორიდან წამოსულ ქართულ ჯარს საკვები მიაწოდო, ტყე-ტყე მშიერი დადის, პურიც კი საკმარისი იქნებაო. ჩემმა მეუღლემ საკუთარი მაღაზიები, პრაქტიკულად, დაცალა და პური, ძეხვი, გამაგრილებელი სასმელი, შოკოლადი, ყავა... მოკლედ, რაც ჰქონდა, ერთი მანქანა გაავსო და მძღოლს მესტიის პოლიციაში გაატანა. მძღოლმა, ნუგზარ კიტიამ, მანქანა ადგილამდე მიიყვანა და უკან ცარიელი დაბრუნდა. მერე კი, როცა ჩემი მეუღლე გააქციეს, ნუგზარს მეგის ქარდავა მიადგა, „პრადოს“ ჯიპი მიუყვანა, 10 ათასი დოლარიც შესთავაზა და უთხრა, ამის სანაცვლოდ ეთქვა, რომ თემურმა პროდუქტი არა ქართულ, არამედ რუსულ ჯართან გაატანა. კიტიამ კატეგორიული უარი განაცხადა და თემურს წერილიც მისწერა, ასე და ასე იყო და თავს მიხედეო. ზუსტად ორ თვეში ნუგზარ კიტია გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ეს წერილიც საქმეში დევს და მასში კიტია მომხდარზე დეტალურად ყვება.



**— ბატონმა თემურმა საქართველო როდის დატოვა?**

— ომის შემდეგ, 21 აგვისტოს ჩვენს ყველა ობიექტში საგადასახადო შევიდა და თვის ბოლოს ყველა ობიექტი დახურეს, თემურს კი შეუთვალეს, ჩათვალე, მკვდარი ხარო და ისიც წავიდა. 2008 წლის 23 ნოემბერს დაბრუნდა და პატრიარქთან იმსახურა სტიქაროსნად. ეკლესიიდან გამოსულს უთხრეს, შენი ლიკვიდაციის ბრძანებაა გაცემულიო და ისევ წავიდა, მოსკოვში ჩაფრინდა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. მისცეს დროებითი თავშესაფარი. მერე ვადა გაუგრძელეს და თავშესაფარი მეორედაც მიიღო, ოღონდ ისევ დროებითი. მერე კი მესამედ რომ მივიდა საბუთის ასაღებად, 2011 წლის 27 იანვარს, უკანონოდ დააკავეს.

**— რის საფუძველზე დააკავეს?**

— გაგეცინებათ და, სამეგრელოს სამხარეო პოლიციის ტელეფონოგრამის საფუძველზე, სადაც რუსებს აუწყეს, რომ ჩემი ქმარი საშიში დამნაშავე იყო. მათ მოითხოვეს საბუთები ექსტრადაციის პროცედურის დასაწყებად. აქედან გაუგზავნეს ის საბუთები, რაზეც თემური იძებნებოდა და რუსებმა უარი თქვეს, ეს დანაშაული დასჯადი არ არის, მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელიაო და ექსტრადიციაზე უარი თქვეს. სამეგრელოს სამხარეო პოლიციამ მოითხოვა, ორი თვე გააჩერეთ პატიმრობაში და შესაბამის საბუთებს მოვაგროვებთო. ჩვენს ადვოკატს რუსებმა უთხრეს, რომ ორთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ქართული მხარე საბუთებს ვერ წარმოადგენდა, თემურს გაუშვებდნენ. მოსკოვის ციხიდან ხშირად რეკავდა. 2011 წლის 14 თებერვალს ჩემი მამამთილი თემურზე ნერვიულობას გადაჰყვა და გარდაიცვალა. იმ დღეს ზუგდიდში გავრცელდა ხმა, თემურმა თვითმკვლელობა სცადაო. მაშინვე ადვოკატს დავურეკე, შევიდა ციხეში და მალაპარაკა თემური. ის იქიდან გაოცდა, თავის მოკვლაზე ქრისტიანი კაცი როგორ ვიფიქრებ, აქედან რომ გამოვალ, შენთან და ლაშასთან ბოდიშს მოვიხდი და ბერად უნდა აღვიკვეცოო. იმ დროის განმავლობაში, რაც მოსკოვში გაატარა, ძირითადად, მონასტერში ცხოვრობდა. სტიქაროსანი იყო, 2000 წელს უწმინდესმა ბრწყინვალების ჯვრითა და სიგელით დააჯილდოვა. პატრიარქმა სტიქაროსნად სამსახურისთვის 10 ლარი აჩუქა — ასეთი ჩვევა ჰქონია ჩვენს სულიერ წინამძღოლს — და დღემდე შენახული მაქვს. დიდი კანდელიც აჩუქა პატრიარქმა და როცა მოსკოვში, მონასტერში იყო, მირეკავდა და მეუბნებოდა, ლოცვაზე ვდგები და პატრიარქის კანდელი დამინთეო. ამ კაცზე მეუბნებიან, თავი მოიკლაო...



„ამ შემთხვევაში დამცინეს — თემურ ყორშიას გარდაცვალება დეპეშით შემატყობინეს“

შპს საქართველოს ფოსტა

დეპეშა

ნ. 3.

Москва 55/190 33 2е/3 1631 Коршия.
Тбилиси Буачидзе 20а-10 Коршия Темур
Лусеневич скончался 25 03-11г. Труп
получите по паспорту в морге 2 пер
Холзунова 7 нач. ф.б.у. из 77/2
у.ф. увсин Россия по г. Москва
с. в. Телятников

**— ბატონი თემურის გარდაცვალება როგორ გაიგეთ?**

— ამ შემთხვევაშიც დამცინეს. შინ დეპეშა გამომიგზავნეს, სადაც ეწერა, რომ 25 მარტს, პროზექტურაში შევიდა თემურ ყორშიას გვამი, არადა, 28 მარტს კაცი ციხიდან უნდა გამოეშვათ, რადგან 2-თვიანი ვადა გადიოდა. მანამდე ციხიდან თემური საავადმყოფოში გადაიყვანეს, აქაოდა, ფსიქოლოგიურად ჯანმრთელი არ არისო. ეს იმიტომ გააკეთეს, რომ ციხეში არაერთი ზუგდიდელი იჯდა, ჩვენი ნათესავიც იყო და იქ ვერაფერს მოუხერხებდნენ. კაცმა 60-დან 57 დღე მშვიდად გაატარა და გაშვებამდე სამი დღით ადრე ჩამოიხრჩო თავი, მითხარით, სად არის ლოგიკა?

**— როცა ჩამოასვენეს, გარდაცვლილს ექსპერტიზა თუ ჩაუტარეთ?**

— სახელმწიფო ექსპერტიზა ჩაუტარდა, ვერც ერთმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა ვერ გაბედა ამის გაკეთება, რადგან ახალაიას მანქანა უკვე დაქოქილი იყო. თემურს ხელები დამტვრეული და დალურჯებული ჰქონდა. ჩამტვრეული ჰქონდა ყბის ძვალი, ყური გახეთქილი, წელსქვემოთაც ნაცემი იყო და იმდენად ჰქონდა ერთი ადგილი გასიებული, ბურთს ჰგავდა. ექსპერტიზამ პასუხი ხუთი თვის შემდეგ მოგვცა და ის სიტყვასიტყვით დაემთხვა რუსული ექსპერტიზის პასუხს. მძიმეც კი არ იყო გამოტოვებული, ერთი-ერთში წერია ზუსტად.

**— საქართველოს პროკურატურაში სარჩელი როდის შეიტანეთ?**

— 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ. ერთი პერიოდი, აქტიურად დაიწყო დაკითხვები, მაგრამ მერე მინელდა, ბოლოს კი საერთოდ შეწყდა. თითქოს პირდაპირ მტკიცებულებებს ვეძებთ და არ გვაქვსო. მეტი რა პირდაპირი მტკიცებულება უნდათ, თემურის ბიზნესი ახალაიას დისშვილს, ბესო ცხადაიას აქვს გადაფორმებული. მთელი ქონება 18 ათას ლარად აქვს წაღებული და ეს მაშინ, როცა მათივე აუდიტმაც კი სამ მილიონზე ნაკლებად ვერ შეაფასა.

1993 წლიდან ბიზნესში იყო თემური და 2008 წელს გაგიჟდა თურმე და ყველაფერი ახალაიებსა და მათ ნათესავებს აჩუქა. დისკები იქ აქვთ, ბეჭდიანი დოკუმენტები... მეტი რა ვქნა?! მტკიცებულებაა ისიც, რომ სენაკში აღმოჩენილ სამარხებში, მეგის ქარდავას რვეულიც რომ იყო, ხომ გახსოვთ? დასასჯელთა სიაში პირველი ჩემი შვილის სახელი და გვარი ეწერა. ეს არ არის საბუთი?! ლაშა „ქართულ ოცნებას“ ედგა ბოლომდე გვერდით, სწორედ ამიტომ, როგორც ჩანს, საბოლოოდ მიპირებდნენ განადგურებას და ერთადერთი შვილის მოკვლას. 25 მარტს სამი წელი გადის თემურის გარდაცვალებიდან და ახალაიას შევახსენებთ, რომ მკვლელობა არ შერჩება.



გვამის ექსპერტიზის ჩატარება ვერც ერთმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა ვერ გაბედა



# „მოსამართლეების დამოუკიდებლობის უნდა ხარისხმა 100%-ს უნდა მიაღწიოს“

## ხდება თუ არა ზეწოლა მოსამართლეებზე და რატომ უნდა დაწესდეს მათზე 3-წლიანი მონიტორინგი

რუსუდან შელია
557-100-768

19 მარტს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხული კანდიდატებისა და სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის შესახებ ისაუბრა და ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა. კონსტანტინე კუბლაშვილის ინფორმაციით, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში 16 ახალი მსმენელი ჩაირიცხა, რომელთაგან ცხრა სასამართლო სისტემაში უკვე მუშაობდა. რაც შეეხება კვლევებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის სასამართლოებში 1 330 პირი გამოიკითხა. აღმოჩნდა, რომ სასამართლოს საქმიანობით გამოკითხულთა მხოლოდ 8%-ია უკმაყოფილო, 65,7% კი სისტემის მუშაობის ხარისხს დადებითად აფასებს.

რაც შეეხება ნდობას, კვლევის მიხედვით, სასამართლო სისტემას 5,7% არ ენდობა, 58,1% ენდობა, ხოლო 33,7% მიიჩნევს, რომ სასამართლო, მეტ-ნაკლებად, სანდო სტრუქტურაა. კვლევამ სასამართლოში კორუფციის მიმართ მოქალაქეთა ნდობის ინდექსიც დააფიქსირა; კერძოდ, გამოკითხულთა მხოლოდ 0,3% ფიქრობს, რომ მოსამართლეები ქრთამს იღებენ, აბსოლუტურ უმრავლესობას კი მიაჩნია, რომ სასამართლო სისტემაში ქრთამს აღარავინ იღებს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მოწმეთა სასამართლოში დაკითხვის ახალი წესის, მოსამართლეთა უვადო დანიშვნის, სამწლიანი გამოსაცდელი ვადისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიების შესახებაც ისაუბრა. **კონსტანტინე კუბლაშვილის** განცხადებით, მნიშვნელოვანია მომზადდნენ მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები, რათა კვლავ გადავადების საკითხი არ დადგეს: **„საქართველოში მსგავსი სისტემა არ არსებობდა. არცერთ თანამშრომელს მოწმის დაკითხვის ასეთი გამოცდილება არ აქვს, ამიტომ მოწმეთა დაკითხვის ახალი წესისთვის, მოსამართლეებსა და პროკურორებს მომზადება სჭირდებათ. აღარ უნდა დადგეს ამ პროცესის გადადების საკითხი, რადგან სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, ისინი განსაზღვრულ ვადაში მოამზადოს. რაც შეეხება სასამართლოს, ბუნებრივია, სტრუქტურა დაიტვირთება, მაგრამ ეს გადაულახავი პრობლემა არაა. ამნისტიის 45 ათასი საქმე სასამართლომ 3 თვეში განიხილა. არ მინახავს ადამიანი, რომელიც ახალ სისტემას უარყოფითად აფასებს. აღნიშნული კოდექსი 2010 წლიდან ამოქმედდა, მაგრამ ეს ნაწილი 2 წლით მაშინვე გადავადდა. მთავარია, გამოირიცხოს ყოველგვარი თეორიული შესაძლებლობა, დაკითხვისას მოწმეზე ვინმემ რაიმე ზეწოლა მოახდინოს. სამართალდამცავ ორგანოებს მოწმეებთან გასაუბრების უფლება აქვთ, მაგრამ ეს დაკითხვასა და ჩვენების მიცემას არ გულისხმობს. სასამართლო დარბაზში დაკითხვას მოსამართლე, პროკურორი და ადვოკატი დაესწრება, რაც მოწმეზე ზეწოლას გამორიცხავს“.**

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლეების სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს რეფორმა მოსამართლის დამოუკიდებლობას საფრთხეს შეუქმნის. მისივე განმარტებით, ვენეციის კომისია და ყველა სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ამ თემებზე მუშაობს, იგივე რისკებს ხედავს: **„ასეთი წესით მოსამართლეების დანიშვნა და სამი წლის განმავლობაში მათზე მონიტორინგი, უზარმაზარ საფრთხეს ქმნის. ამ მოსაზრებას ვენეციის კომისიისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც იზიარებენ. დღეს სასამართლო დამოუკიდებელია, მაგრამ მაქვს ინფორმაცია და უზენაესში შემოსულ საქმეებშიც ჩანს, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობის შემთხვევაში, საქმეში სხვა გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო. სასურველია, მოსამართლეების დამოუკიდებლობის ხარისხმა 100%-ს მიაღწიოს. როცა ამ მიმართულებით ეჭვი ჩნდება, ორი მიზეზი არსებობს — მოსამართლეს არ ჰყოფნის გამბედაობა და მასზე ზეწოლა ხორციელდება ან, კვალიფიკაციიდან გამომდინარე, გაუგებარ გადაწყვეტილებას იღებს“.**

კონსტანტინე კუბლაშვილმა წინა და ახალი ხელისუფლების პირობებში სასამართლოზე ზეწოლის ფაქტებზე საუბრისას რამდენიმე კონკრეტული მაგალითიც მოიყვანა და განაცხადა, რომ, როცა მსგავსი შემთხვევების შესახებ ინფორმაცია მისდიოდა, ყოველთვის ახდენდა სათანადო რეაგირებას: **„სახელმწიფო თანამდებობის ნებისმიერი პირი, რომელიც სასამართლოს განაჩენამდე აზრს გამოთქვამს, უდანაშაულობის პრეზუმპციის უმთავრესს პრინციპს არღვევს. არცერთი ადამიანი არ არის დამნაშავე, ვიდრე სასამართლოს განაჩენი არ დადგება. ამ მხრივ, როგორც წინა, ასევე, განსაკუთრებით, ახალი ხელისუფლებაც გამოირჩევა. მაგალითად, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი მოსამართლეს დილით 08:00 საათზე სახლში მიადგა და უთხრა, მაინტერესებს, საქმეს როგორ იხილავო. სამწუხაროდ, ამ ადამიანის სახელი და გვარი არ მახსოვს, თუმცა ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი იყო. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მისი ვინაობის გაგება. თუ არ ვცდები, სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ადამიანი 2 000 ლარით დაჯარიმდა. ძველი ხელისუფლების მმართველობის პირობებში კი, პარლამენტის ერთ-ერთი წევრი, 2005 წელს უზენაეს სასამართლოში მოვიდა, მოსამართლის კაბინეტში შევიდა და მას კონკრეტულ საქმეზე დაუწყო საუბარი დაუწყო. ამ ფაქტის შესახებ მაშინვე ღიად განვაცხადე“.**

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, სასამართლოზე ზეწოლა 2013 წელს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო, თუმცა სასამართლომ ზეწოლას იმ გადაწყვეტილებებით უპასუხა, რაც ობიექტური მართლმსაჯულების განსახორციელებლად აუცილებელი იყო.



# თიბისი ბანკის პროექტი ბიზნესის მხარდასაჭერად

## ბანკის სათავო ოფისში, განსაკუთრებული მომხმარებლებისთვის გაიმართა უფასო ტრენინგი თემაზე „მოტივაცია“

რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ თანამშრომლები მეტად მოტივირებულნი იყვნენ? არის თუ არა მოტივაცია, მხოლოდ ხელფასის ზრდაზე ანუ მატერიალურ საფუძველზე დამოკიდებული? — თითქმის ყველა კითხვამ, რაც ზოგადად მოტივაციის თემაზე შეიძლება გაგიჩნდეთ, თიბისი ბანკის სათავო ოფისში გაიჟღერა, სადაც ბანკის განსაკუთრებულ მომხმარებლებს, შესაბამისი ტრენინგი ჩაუტარდათ.

3-საათიან ტრენინგს დაახლოებით 120 ადამიანი ესწრებოდა. ღონისძიება თიბისი ბანკის ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის „7 ნაბიჯი წარმატებისკენ“ ფარგლებში ჩატარდა. პროგრამის კოორდინატორის, თიბისი ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესგაყიდვების განყოფილების უფროსის, **თამარ ჟიჟილაშვილის** განმარტებით, მსგავს ტრენინგებს, თავისი მომხმარებლებისთვის ბანკი უკვე დიდი ხანია ატარებს: **„შარშან მომხმარებელს შევთავაზეთ პროგრამა „7 ნაბიჯი წარმატებისკენ“. ეს პროექტი 7 სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება და მისი მიზანი ბიზნესის მხარდაჭერაა. პროგრამის ფარგლებში უკვე მომზადდა საქართველოში პირველი საგანმანათლებლო ვებპორტალი www.tbcbusiness.ge. მასზე უფასოდაა ხელმისაწვდომი ყველა ის საბაზისო ინფორმაცია და ინსტრუმენტი, რომელიც ბიზნესის დაწყებაში ან მისი წარმატებით მართვა-განვითარებაში დაგეხმარებათ. ვებგვერდი განკუთვნილია როგორც დამწყები, ისე გამოცდილი ბიზნესმენებისთვის.**

**ამ საიტიდანვე მომხმარებელს შეუძლია ჩამოტვირთოს ხელშეკრულებების შაბლონები, გასაუბრების სცენარი, დაუსვას კითხვა ექსპერტს... განსაკუთრებული მომხმარებლებისთვის უფასო ტრენინგების ჩატარება, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტია. ტრენინგებს, რომელიც ბანკისა და საერთაშორისო კორპორაციების მიერ ფინანსდება, 7 საგანში ვმართავთ. ტრენინგცენტრები სამ ქალაქში — თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გვაქვს გახსნილი. თავის დროზე, მომხმარებლების დატრენინგების იდეა იმიტომ გაჩნდა, რომ გვინდა, გვყავდეს ყველაზე წარმატებული კლიენტები, გაიზარდოს და გაძლიერდეს მათი ბიზნესები. მათი წარმატება ჩვენთვისაც ძალიან კარგია“.**

თიბისი ბანკის მიერ მოწვეული ტრენერები დაინტერესებულ მომხმარებლებს ტრენინგებს პერიოდულად, სხვადასხვა თემაზე უტარებენ. თემები მრავალფეროვანია და ყოველთვის იმისკენაა მიმართული, მომხმარებლებს ბიზნესის დაწყება-განვითარებაში შეუწყოს ხელი. კლიენტების მომსახურება, ბაზრის მარკეტინგი, სოციალური მედიის როლი — ყველა ეს საკითხი, მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. გამონაკლისი არც „მოტივაცია“ იყო. ამ თემაზე ჩატარებულ ტრენინგს „მართვის აკადემიის“ თავმჯდომარე სანდრო ჯეჯელავა წარუძღვა. მისი განმარტებით, ეს შეხვედრა უფრო აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ბიზნესმენების ისეთ საკითხებზე დაფიქრების მცდელობაა,



რომლებზეც, შეიძლება ყოველდღიურად არ ფიქრობდნენ. **სანდრო ჯეჯელავა: „თიბისი ბანკი, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში იწვევს ხოლმე ტრენერებს, მათ შორის მეც. ბანკის განსაკუთრებულ მომხმარებლებს ვესაუბრებით ბიზნესის მართვის სხვადასხვა ასპექტზე. დღევანდელი ღონისძიების ფორმატი ოდნავ განსხვავებულია — ამდენი დამსწრე აქამდე არ გვყოლია. თემა გახლავთ „მოტივაცია“. ჩვენი მიზანი არ არის ამ გამოცდილი, ჭკვიანი და კომპეტენტური ადამიანების სწავლება, უბრალოდ, ვცდილობთ, მივაწოდოთ საფიქრალი მასალა თანამედროვე მიმდინარეობების და იმის შესახებ, დღეს რა სიახლეებია მენეჯმენტში. ვერც 3 და ვერც 23 საათში, მათ მსოფლმხედველობას ვერ შევცვლით. ეს ტრენინგი დაეხმარება მათ, ვისაც უკვე აქვს გააზრებული თანამშრომლების მნიშვნელობა. ისინი, მეტს გაიგებენ იმის შესახებ, რა გააკეთონ, რომ მეტად მოტივირებული თანამშრომლები ჰყავდეთ, რაც მათი საქმიანობის წარმატების საფუძველი აუცილებლად გახდება“.**

ტრენინგი საკმაოდ ხალისიან გარემოში წარიმართა. თიბისი ბანკის მომხმარებლები ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთნენ, 3 საათის შემდეგ კი, მათი განწყობა ასეთი იყო: დღეს მართლაც ბევრ საინტერესო დეტალზე დავფიქრდით. ეს ტრენინგი ჩვენი საქმიანობის უკეთ წარმართვაში დაგვეხმარება. „ვერსია“ ტრენინგის რამდენიმე მონაწილესაც გაესაუბრა:

**თამარ ცაგურია,** შპს „კანოს“ ოფისმენეჯერი: **„თიბისი ბანკი ხშირად გვთავაზობს საინტერესო ტრენინგებს. დღევანდელი ღონისძიების თემაც ძალიან საინტერესო იყო — ყოველთვის ღირს იმაზე დაფიქრდე, როგორ აამაღლო თანამშრომლების მოტივაცია. შესაბამისად, ამ ტრენინგში სიამოვნებით ჩავერთეთ. თიბისი ბანკის დამოკიდებულება, მომხმარებლებს უფასო ტრენინგები ჩაუტაროს, ძალიან სასიამოვნოა. ეს ამ ბანკთან თანამშრომლობას კიდევ უფრო კომფორტულს ქმნის და მისი გახანგრძლივების სურვილიც გვიჩნდება. ანუ, გარკვეულწილად, ამით, ბანკი ცდილობს, მომხმარებლებში აამაღლოს თანამშრომლობის მოტივაცია. ეს სხვა ბანკებთან შედარებით, ნამდვილად დიდი უპირატესობაა“.**

**დავით გაბროშვილი,** „ალფა მოტორსის“ **წარმომადგენელი: „ადრეც დავესწარით სანდრო ჯეჯელავას ლექციას და ძალიან დაგვაინტერესა. თიბისი ბანკმა კარგი პროექტი წამოიწყო. 42 წლის გახლავართ, როცა უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრე და საქმეში ჩავერთე, ბიზნესს მაშინ აბსოლუტურად განსხვავებულად აღიქვამდნენ, დღეს კი ამ სფეროში ახალი ტენდენციებია, რაზედაც ხშირად დაფიქრების ფუფუნება ნამდვილად არ გვაქვს. ამ 3 საათში კი, მართლაც ბევრ ფაქტორზე დაგვაფიქრეს, რაც ჩვენი საქმის უკეთ წარმართვაში, ნამდვილად დაგვეხმარება“.**

სხვა ტრენინგების მსგავსად, „მოტივაციაზე“ ჩატარებული ლექციის სრული ვერსია აიტვირთა www.tbcbusiness.ge-ზე და ნებისმიერ მსურველს აქვს მისი ნახვის საშუალება. თიბისი ბანკში აცხადებენ, რომ მომხმარებელს, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სამომავლოდაც არაერთ სიახლეს შესთავაზებენ, რაც ბიზნესის ეფექტურად წარმართვაში დაეხმარება.

*ნინო ლურსმანაშვილი*

# „ზურაბ ჟვანიას გვამის ექსჰუმაციის საკითხი მალე გადაწყდება“



ექსპრემიერის ცხედრის ექსპერტიზა კანონდარღვევით ჩატარდა, ნაციონალები კი „ეფ-ბი-აის“ გაურიგდნენ?

რუსუდან შელია
557-100-768

19 მარტს, Youtube-ს საშუალებით ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრების ფოტოკოლაჟი გავრცელდა, ვიდეოს ავტორი ვინმე, „ჰაკიმ ფაშაა“, რომელსაც Youtube-ზე სხვა ვიდეო არასოდეს აუტვირთავს. ავტორმა ფოტოკოლაჟი ამგვარად დაასათაურა — Saakashvili killed Mr. zurab zhvania! (სააკაშვილმა მოკლა ბატონი ჟვანია!) გამოქვეყნებულ ფოტოებზე ჩანს, რომ გარდაცვლილებს სხეულზე სხვადასხვა დაზიანება აღენიშნებათ. ფოტოების ავთენტურობა, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის, სამაგიეროდ, უკვე გაირკვა, რომ ჟვანიასა და უსუპოვის გარდაცვალების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა ყოფილი მთავარი პროკურორის, მურთაზ ზოდელავას სამუშაო ოთახში, პროკურატურის განმარტებით, საქმისგან განცალკევებით ინახებოდა. პროკურატურის წარმომადგენლებმა ისიც განმარტეს, რომ უწყება ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გვამების ექსჰუმაციისა და ახალი ექსპერტიზის ჩატარების საჭიროების წინაშე დგას — საქმის ანალიზისას დადგინდა, რომ ჩატარებული ექსპერტიზა არასრულყოფილია; კერძოდ, დასკვნაში არაფერია ნათქვამი გარდაცვლილების სხეულზე არსებული ფიზიკური დაზიანებების კვალზე.

პროკურატურაში დაკითხვაზე დაბარებულმა **მურთაზ ზოდელავამ** განმარტა, რომ სეიფში იმ კონფიდენციალურ მასალას ინახავდა, რომელიც წელიწადნახევრის წინ მაშინდელ მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს გადასცა: **„სეიფში არამარტო შემთხვევის ადგილის, არამედ სამედიცინო ექსპერტიზისა და სხვა პროცედურების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა იყო. ეს კონფიდენციალური მასალაა. მასში განსაკუთრებით სათუთი საკითხები იყო და ინფორმაციას რომ არ გაეჟონა, განსაკუთრებულ რეჟიმში ინახებოდა. დაახლოებით წელიწადნახევრის წინ, როცა ჩემ კაბინეტში ახალი მთავარი პროკურორი კბილაშვილი შევიდა, გადაიბარა სეიფიც და მასში არსებული მასალებიც. აბსურდია, თითქოს ჩვენ გამოძიებას ისეთი მტკიცებულებები ჰქონდა, რომლებიც გამოძიების ვერსიას კითხვისნიშნის ქვეშ აყენებდა. მეტ დეტალს ვერ გაგიმხელთ. როგორც ყოფილი პროკურორი, ვალდებული ვარ, კონფიდენციალობა დავიცვა. ამ საქმის დეტალების გამჟღავნება ჩემგან არასწორია“.**

საქართველოს მთავარ პროკურატურაში, დაკითხვაზე იმყოფებოდა ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსპერტიზაში მონაწილე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი **ლევან ჩაჩუაც,** რომელიც ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში აცხადებს, რომ გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ექსპერტიზას ორი ვიდეოკამერა იღებდა: **„კამერები არცერთი წუთით არ გამორთულა. შსს-სა და პროკურატურას ეს ფირები აქვს და ისინი ბევრ კითხვას უპასუხებს. რესპუბლიკური საავადმყოფოს პროზექტურაში იყვნენ ბატონი ზურაბის შეშინებული და დამწუხრებული მეგობრები: გოგორიშვილი, მაჭავარიანი, ბარამიძე... სანამ გვამის გაკვეთას დავიწყებდით, მორგში ჟვანიას გუნდის თითქმის ყველა წევრი, სულ ცოტა, 20-25 კაცი იმყოფებოდა. მისი მეუღლე ჯერ კიდევ თბილ გვამს ეფერებოდა და დასტიროდა. შეიძლება, ამდენმა ადამიანმა ნახოს გვამი და ნატყვიარი ვერ შენიშნოს? რაც შეეხება კეფაზე ჭრილობას, გამოკვლევის შემდეგ კვეთა მხოლოდ კეფაზე კი არა, გულმკერდზეც კეთდება“.**

ლევან ჩაჩუა ამტკიცებს, რომ ექსპერტიზას რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა, მაგრამ დასკვნაში ამაზე არაფერია ნათქვამი, არც ისაა მითითებული, რომ ცხედრის დათვალიერების პროცესს ორი კამერა იღებდა. აქედან გამომდინარე, „ვერსიასთან“ საუბრისას, ექსპერტ **მაია ნიკოლეიშვილს** ლოგიკური კითხვები უჩნდება: **„საქმეს დანართში ფოტომასალა საერთოდ არ ახლდა და თუ მართლაც, როგორც ლევან ჩაჩუა ამტკიცებს, გარდაცვლილის სხეულის ექსპერტიზის პროცესს ორი ვიდეოკამერა იღებდა, რატომ დაირღვა სამართლებრივი ნორმები და რატომ არაფერი დაფიქსირდა ამის შესახებ დასკვნაში? ლევან ჩაჩუა ვალდებული იყო, იმ პირის ვინაობაც მიეთითებინა, რომელიც მაშინ ოპერატორის ფუნქციას ასრულებდა; მეტიც — უნდა დაფიქსირებული აპარატიც კი, რომლითაც ფოტოებს იღებდნენ. უცნაურია, რომ დასკვნაში აღნიშნული ინფორმაციები არ ჩაიწერა. გამოდის, გადაღება უკანონოდ ხორციელდებოდა. დაუშვებელია, გვამის გაკვეთის პროცესს უცხო ადამიანები ესწრებოდნენ და, თუ გამონაკლისი დაუშვეს, დასკვნაში ესეც უნდა მიეთითებინათ. ექსპერტის დასკვნის პირველ გვერდზე არსებობს სპეციალური გრაფა, სადაც ექსპერტიზაზე დამსწრე ადამიანების ვინაობა უნდა მიეთითოს. თუ ექსპერტიზის დროს დარბაზში უცხოები იმყოფებიან, ქმედება სამართლებრივად ისჯება“.**

ნაციონალური მოძრაობისა და ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელები პრემიერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, „ეფ-ბი-აის“ მიერ ჩატარებულ დასკვნას არგუმენტად ხშირად იშველიებენ, თუმცა, როგორც მაია ნიკოლეიშვილი განმარტავს, ამერიკულ საგამოძიებო ორგანოს ზურაბ ჟვანიას გვამზე ექსპერტიზის ჩატარების უფლება არ ჰქონდა: **„ეფ-ბი-აის“ გვამის დამოუკიდებელი ექსპერტიზის უფლება არ ჰქონდა. ჯერჯერობით, საქართველო კოლონია არ არის და აქ ქართული კანონმდებლობა მოქმედებს. როგორც ვიცი, „ეფ-ბი-აის“ ექსპერტიზის ჩატარება გაზის გამათბობელზე სთხოვეს. სხვათა შორის, როცა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ზურაბ ჟვანიას საქმეში არსებულ უხერხულობაზე საუბრობენ, მაინტერესებს, გაზის გამათბობელზე ექსპერტიზის ჩატარებით, ვის აშაყირებდნენ? დღეს ეს ადამიანები ხომ ამტკიცებენ, რომ საბურთალოს ბინაში არაფერი მომხდარა?! ისიც საინტერესოა, რატომ დაარღვია სამართლებრივი ნორმები „ეფ-ბი-აიმ“ და გარიგდა თუ არა მაშინდელ ხელისუფლებასთან“.**

რაც შეეხება ზურაბ ჟვანიას გვამის ექსჰუმაციის საკითხს, მაია ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, რომ ამ ქმედების განხორციელების შემთხვევაში, თუ სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტოების ავთენტურობაც დამტკიცდება, საქმეში ახალი, ბევრად მყარი მტკიცებულები გაჩნდება: **„ზურაბ ჟვანიას ტუჩზე არსებულ დაზიანებას ეჭვქვეშ არავინ აყენებს. ეს საქმეშიც დაფიქსირებულია. რაც შეეხება სხვა დაზიანებების ექსჰუმაციით დადგენას, ამაზე ამ ეტაპზე, ვერ ვისაუბრებ, თუმცა, თუ დადგინდა, რომ სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტოები ავთენტურია, ერთობლივად გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა შესაძლებელია. მე, როგორც ექსპერტი, დასკვნას მხოლოდ ფოტოებზე დაყრდნობით არასოდეს ვაკეთებ, მაგრამ გვამის ექსჰუმაციის შემთხვევაში, ერთობლივი შეფასების გაკეთება შესაძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილზე ფოტოგრაფირება აზრს კარგავს. დაველოდოთ ექსჰუმაციის შედეგებს. ჩემი დაკვირვებით, თუ ფოტოების ავთენტურობა დადგინდა, მასზე აღბეჭდილი გვამის დაზიანებები სისხლნაჟღენთებს ძალიან ჰგავს, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რაიმე პათოლოგიური პროცესი იყო. ფაქტია, სხეულზე სხვადასხვა ფერის უბნები ფიქსირდება. მაინტერესებს, რატომ არ არის ეს ყველაფერი დასკვნაში აღწერილი? რისთვის იმყოფებოდა ექსპერტიზაზე შვიდი კაცი?! ფოტომასალების ავთენტურობის დადგენის შემთხვევაში, საქმეში არსებული დასკვნა და შვიდი ადამიანის ხელმოწერა ყალბი ხდება, ექსჰუმაციის აუცილებლობა კი — ეჭვგარეშე“.**

„ვერსია“ პროკურორ **ნათია მეზვრიშვილს** დაუკავშირდა, რომელმაც განგვიცხადა, რომ სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტოების ავტორის დასადგენად პროკურატურა შესაბამისი გამოძიების წარმოებას გეგმავს: **„გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, ვერ გავახმოვანებთ ლევან ჩაჩუასა და მურთაზ ზოდელავას დაკითხვის დეტალებს, ვერც იმას ვიტყვი, რა სამართლებრივი პროცედურები მოყვება მათ დაკითხვას... რაც შეეხება სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტოებისა და მურთაზ ზოდელავას სეიფში აღმოჩენილი ფოტოების იდენტურობას, ამ ეტაპზე, კონკრეტულად ვერაფერს დავადასტურებ. ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნეთ, რომ ყოფილი მთავარი პროკურორის სეიფში ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა ინახებოდა, თანაც საქმისგან განცალკევებით, რაც ბუნებრივია, გარკვეულ კითხვისნიშნებს აჩენს. პროკურატურა ამ მასალებს ჯერ კიდევ სწავლობს. პარალელურად, პროკურატურა სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტოების ავთენტურობას შეისწავლის და ავტორის იდენტიფიცირებისთვის გამოძიებასაც გეგმავს“.**

პროკურორ ნათია მეზვრიშვილის განცხადებით, ზურაბ ჟვანიას გვამის ექსჰუმაციის საკითხიც უახლოეს მომავალში გადაწყდება, რადგან ამ მიმართულებით მოლაპარაკებები უკვე დასკვნით ფაზაშია: **„გარდაცვლილი პრემიერის გვამის ექსპერტიზის საკითხზე დიდი ხანია მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნის ავტორიტეტულ საექსპერტო დაწესებულებას ვესაუბრებით, რათა უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით გვამების ექსჰუმაცია განხორციელდეს და ახალი სრულყოფილი ექსპერტიზა ჩატარდეს. არსებულ დასკვნებთან დაკავშირებით უამრავი კითხვა დაგროვდა, რადგან მასში არაფერია ნამსჯელი გარდაცვლილების სხეულზე არსებული ფიზიკური დაზიანებების ნიშანდობლივ კვალზე“.**

## ვერსიანიუსი

### შსს-მ ქურდობის ფაქტი გახსნა



შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ბესიქ ქ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 თებერვალს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ატეცში მდებარე „ლიბერთი ბანკი“-ს „ფეი ექსპრესის“ ფილიალის ფანჯრები დააზიანა, საიდანაც შენობაში შეაღწია, მცირე ზომის სეიფი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ სეიფში 6 ათასი ლარი იდო.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სეიფი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

### შსს-მ ქურდობის ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავა



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული ლევან ღ. და 1961 წელს დაბადებული ჯუმბერ ლ. წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ჩადენილი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ჯუმბერ ლ-მ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინა 20130 კგ თხილის გული, რომელიც საკონტეინერო ტერმინალ „ბარვილ ჯორჯია“-ს ტერიტორიაზე ინახებოდა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ჯუმბერ ლ. დანაშაულებრივად დაუკავშირდა ერთ-ერთი სატრანსპორტო კომპანიის კუთვნილი სატვირთო ავტომანქანის მძღოლ ლევან ღ-ს, რომელიც საკონტეინერო ტერმინალიდან ტვირთების გადაზიდვას ქალაქ ფოთის საზღვაო ნავსადგურში ახორციელებდა.

ჯუმბერ ლ-მ ლევან ღ-ს შესთავაზა, მის სარგებლობაში არსებული სატვირთო ავტომანქანით თხილის გულით დატვირთული კონტეინერი დანიშნულების ადგილის ნაცვლად ფოთში მდებარე ბეტონის ქარხნის ტერიტორიაზე მიეტანა, სადაც თხილს ჩამოცლიდნენ, ხოლო რეალიზაციის შემდგომ იგი მიიღებდა 5000 ლარს, რასაც დასთანხმდა. ლევან ღ-მ და ჯუმბერ ლ-მ, რამდენიმე პირთან ერთად, თხილით დატვირთული კონტეინერი ავტომანქანიდან გადმოტვირთეს და ფარულად დაეუფლნენ 20130 კგ თხილის გულს, რითიც ტვირთის ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელ კომპანიას 210 157 ლარის ზარალი მიაყენეს.

დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ჩადენილი ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი*

# შავიზღვისპირეთში ახალი პორტების მშენებლობა იგეგმება



## საპარტნიორო ფონდის სუვერენულ ფონდად გარდაქმნის კანონპროექტს პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე განიხილავს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საპარტნიორო ფონდსა და კომპანია „აისიიესს“ შორის უკვე გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც საქართველოში სამშენებლო მასალის, ე.წ. სენდვიჩ-პანელების წარმოებას ითვალისწინებს. სამშენებლო ინდუსტრიის ეს მნიშვნელოვანი ელემენტი, ძირითადად, თურქეთიდან შემოაქვთ. საპარტნიორო ფონდში აცხადებენ, რომ კომპანია „აისიიესს“, ამ მიმართულებით, წარმოების დიდი გამოცდილება აქვს. მათი ბიზნესგეგმის შესწავლის შემდეგ კი გადაწყდა, ქვეყანაში ახალი საწარმო გახსნილიყო. „სენდვიჩ-პანელების“ ქარხანა რუსთავის გზატკეცილზე აშენდება და 10 თვეში ქართულ პროდუქციას გამოუშვებს, რაც საგრძნობლად გააიაფებს ამ პროდუქტსაც და, ზოგადად, მშენებლობასაც. ქარხანა აღჭურვილი იქნება უახლესი ევროპული, ძირითადად, იტალიური ტექნოლოგიებით. იმპორტის ჩანაცვლების გარდა, კომპანია „აისიიესს“ დაგეგმილი აქვს, საკუთარი პროდუქცია 40%-45% ექსპორტზეც გაიტანოს სომხეთში, აზერბაიჯანში, რუსეთსა და ყაზახეთში. „აისიიესი“ ქართული კომპანიაა, რომელშიც საპარტნიორო ფონდი 48%-იან წილს ფლობს, 52% კი — კომპანიის წილია, ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 6 000 000 აშშ დოლარია. ახალი საწარმოს სიმძლავრე 2.8 მილიონი მეტრი კვადრატი „სენდვიჩ-პანელი“ იქნება წელიწადში. რა პროექტები დაასრულა და რა ახალი პროექტების განხორციელებას გეგმავს საქართველოს საპარტნიორო ფონდი? „ვერსიას“ საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, ირაკლი კოვზანაძე ესაუბრება.**

— შარშან დავასრულეთ სამი პროექტი. მათ შორის ახალციხეში, რაბათის ციხესთან ახლოს, სასტუმრო „ჯინო ველნესი“. საპარტნიორო ფონდის წილი ამ სასტუმროში სლოვაკურმა „ექსიმბანკმა“ ჩაანაცვლა; მეორე პროექტია ყვარელში, ილიას ტბაზე სასტუმრო „როიალ ბატონი“ — ესაა 38-ნომრიანი, მცირე სასტუმრო. პროექტის დასრულების შემდეგ საპარტნიორო ფონდი აქედანაც გამოვიდა და თიბისი ბანკი ჩაგვენაცვლა; მესამე პროექტი სოფლის მეურნეობაში განვახორციელეთ — კოდაში მეღორეობის ფერმა გავხსენით. ფონდი უკვე არც აქ მონაწილეობს. ზოგადად, ჩვენი სტრატეგიაა, როდესაც პროექტი კარგად ამუშავდება და შესაბამის რენტაბელობაზე გავა, სამიდან ხუთ წლამდე პერიოდში, პროექტიდან გამოვდივართ. ჩვენი ამოცანა მაქსიმალური მოგების მიღება არ არის. ჩვენი მიზანია კერძო ინვესტიციების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის ოთხ პრიორიტეტულ სექტორში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და უძრავი ქონება.

— **კოდაში რომელი კომპანია ჩაგენაცვლათ?**

— კოდას მეღორეობის ფერმის პროექტი ჩვენი სესხით განხორციელდა. უშუალოდ, ინვესტორმა მოისურვა, პროექტიდან ვადაზე ადრე გამოვსულიყავით და ასეც მოხდა. ამ ფერმას „კოდას“ მენეჯმენტი მართავს.

— **მიმდინარე წელს რა ახალი პროექტების განხორციელებას აპირებთ?**

— წელს საქართველოსთვის მასშტაბური, გარდაბნის 230 მეგავატიანი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობა დავიწყეთ, რომელიც 220 000 000 აშშ დოლარიანი პროექტია. მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. პროექტი 2015 წლის ბოლოს დასრულდება. მასში 49%-იან წილს საპარტნიორო ფონდი, 51%-ს კი ჩვენი შვილობილი, „ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაცია“ ფლობს. წელს დავიწყებთ, 210 მეგავატიანი სიმძლავრის ჰესის მშენებლობას სვანეთში, მდინარე ნენსკრაზე. პროექტის საინვესტიციო მოცულობა 570 000 000 აშშ დოლარია და მასში ჩვენი კონსულტანტი მსოფლიო საფინანსო კორპორაცია IFC-ია. ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ინვესტორებთან. პროექტი უკვე გამზადებულია, დაახლოებით, 10 200 000 აშშ დოლარის ხარჯი უკვე გავწიეთ გზის ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის. სამუშაოები ბოლომდე დასრულებული არ არის, მაგრამ მდინარის შესართავამდე მისასვლელი გზა უკვე გაკეთებულია. ვფიქრობ, წლის მეორე ნახევარში ინვესტორიც გამოიკვეთება. ეს პროექტი გარემოზე ზემოქმედებას არ ახდენს, რადგან ოჯახებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არ მოუწევთ. მესამე პროექტი შავი ზღვისპირეთში, პორტების მშენებლობაა. უკვე გვაქვს ანაკლიის, ლაზიკის, სუფსის, ფოთისა და ყულევის პორტების გაფართოების პროექტები. გადავწყვიტეთ, შავი ზღვისპირეთი, ენგურიდან ჭოროხამდე შეგვესწავლა და დაგვედგინა ადგილები, რომლებიც ყველაზე უკეთესი იქნებოდა შავი ზღვისპირეთში პორტების ასაშენებლად. ამ მიზნით დავიქირავეთ იაპონური კომპანია, რომელიც კვლევას ახორციელებს როგორც გეოლოგიური, ისე ჰიდროლოგიური მიმართულებით და მომდევნო 90 დღის განმავლობაში, დასკვნასაც მოამზადებს. კვლევების თვალსაზრისით წინ ვართ, რადგან რამდენიმე ადგილზე, სადაც, სავარაუდოდ, ეს პროექტები უნდა განხორციელდეს, უკვე ვიცით, როგორ შევიყვანოთ რკინიგზის ხაზი, საავტომობილო გზა...

— **ფოთის პორტის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ტვირთების რაოდენობა შემცირდა. გარდა ამისა, მის მმართველ ამერიკულ კომპანია „მაერსკის“, საკმაოდ მაღალი ტარიფები აქვს, რის გამოც ამ პორტში განბაჟებული ნებისმიერი პროდუქტი ძვირია...**

— ეს საკითხი ჩვენ საერთოდ არ გვეხება, პორტებთან პირდაპირი შეხება არ გვაქვს. რაც შეეხება ტვირთების მოცულობის შემცირებას, ზოგადად, „საქართველოს რკინიგზას“ ტვირთების მოცულობა ეზრდება და საპარტნიორო ფონდის ამოცანაა, წლიური ზრდა, კარგ შემთხვევაში, დაახლოებით, 18% იყოს. აქედან გამომდინარე, თანდათან, დღის წესრიგში დგება ახალი პორტების მშენებლობის საკითხი. კიდევ ერთი პროექტი, რომელსაც წელს საპარტნიორო ფონდი დაასრულებს, ლიკანში, ცნობილი სახელმწიფო რეზიდენციის ადგილზე, ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „რიქსოსის“ მშენებლობაა. მისი განხორციელება ყაზახმა ინვესტორებმა 2006 წლიდან დაიწყეს, მაგრამ გარკვეული შეფერხებების გამო, მშენებლობა შეჩერებული იყო. ამ პროექტის 50%-იან წილს საპარტნიორო ფონდი, ხოლო დარჩენილ 50%-ს ყაზახები ფლობენ. თეთრი კარკასი უკვე მზადაა. პროექტის მოცულობა კი 38 300 000 აშშ დოლარია.

— **ცნობილია, რომ საპარტნიორო ფონდი სუვერენულ ფონდად უნდა გადაკეთდეს, ეს რას ნიშნავს და რა შეიცვლება ამით?**

— ამაზე შარშან დავიწყეთ მუშაობა, როცა ბიძინა ივანიშვილმა დაგვავალა, საპარტნიორო ფონდის ბაზაზე სუვერენული ფონდი შეგვექმნა. ჩვენს ქვეყანას მხოლოდ გრძელვადიანი კაპიტალის პრობლემა აქვს. ამ თვალსაზრისით, საპარტნიორო ფონდს ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს. თუმცა მისი უნივერსალიზაცია და ტიპურ, სუვერენულ ფონდად გარდაქმნა აუცილებელია, რადგან ეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კარგად აპრობირებული ფინანსური ინსტიტუციაა. სამწუხაროდ, სხვა ქვეყნების მსგავსად, ნავთობისა და გაზის დიდი რესურსი არ გვაქვს, რომ ჭარბი ლიკვიდობა გვქონდეს და საინვესტიციო თანხების საზღვარგარეთ გატანას ვაპირებდეთ. პირიქით, საინვესტიციო თანხა ქვეყნის შიგნით უნდა შემოვიტანოთ. საპარტნიორო ფონდი ქვეყნის სუვერენულ ფონდად გარდაიქმნება, ანუ იმ ფონდად, რომელიც სტრატეგიული პროექტების განხორციელებაზე იმუშავებს. სუვერენულ ფონდს ორი ქვეფონდი ექნება — სუვერენული აქტივების მართვისა და სტრატეგიული პროექტების განხორციელების. ზოგადად, სუვერენულ ფონდს უკეთესი კორპორატიული მართვა ახასიათებს, რომელიც უნისონშია საერთაშორისო სტანდარტებთან. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) ჩამოაყალიბა კიდეც პირობები, რასაც სუვერენული ფონდები უნდა აკმაყოფილებდნენ. ეს არის ე.წ. „სანტიაგოს პრინციპები“. დაახლოებით, 25 პრინციპია, რასაც ჩვენი ფონდიც დააკმაყოფილებს. საპარტნიორო ფონდის სუვერენულ ფონდად გარდაქმნის კანონპროექტი უკვე მზად გვაქვს. შარშან ფონდის პროექტის შექმნასთან დაკავშირებით, სახელმწიფო სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, სადაც საპარტნიორო ფონდის წარმომადგენლებთან ერთად, ფინანსთა, ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროების, ასევე მსოფლიო ბანკისა და სსფ-ს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. სწორედ ამ ჯგუფმა მოამზადა კანონპროექტი, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა და უკვე პარლამენტშია წარდგენილი. ვფიქრობ, საგაზაფხულო სესიის განმავლობაში, მისი განხილვა დაიწყება. მისი დამტკიცებიდან რამდენიმე თვეში, საპარტნიორო ფონდი სუვერენულ ფონდად გარდაიქმნება. სუვერენული ფონდის ბაზაზე, ინოვაციური პროექტების ფონდის შექმნასაც ვგეგმავთ, მაგრამ ეს უკვე მომდევნო ეტაპია. სხვათა შორის, სუვერენული ფონდის აღქმა უცხოელებსაც არ გაუჭირდებათ, რადგან ახლა ვუხსნით, რას ნიშნავს საპარტნიორო ფონდი. სუვერენული ფონდები მოქმედებს აზერბაიჯანში, რუსეთში, აშშ-ში, ავსტრალიაში, ნორვეგიასა და ბევრ სხვა ქვეყანაში.



## სავალუტო ფონდმა,შესაძლოა, საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზს გადახედოს

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელი საქართველოში აზიმ სადიკოვი მიიჩნევს, რომ საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია, მთავრობამ პროგნოზირებადი მაკრო და ხელსაყრელი ბიზნესგარემო შექმნას, რათა ინვესტორთა ნდობა გაიზარდოს: **„საქართველოს მთავრობამ გაზარდა პენსიები, დაიწყო საყოველთაო დაზღვევის პროგრამა ანუ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სოციალურად ორიენტირებულია, მაგრამ ვერასოდეს შექმნის ისეთ სოციალურ პროგრამებს, რომლებსაც ქვეყნის ყველა მოქალაქეს მიაწვდენს... ამიტომ აუცილებელია დასაქმების ხელშემწყობი პოლიტიკის წარმოება, ბიზნესგარემოს გაუმჯობესება... 2013 წელი საქართველოს ეკონომიკისთვის იყო გარდამავალი და ბევრმა ბიზნესმა რესტრუქტურიზაცია მოახდინა, შედეგად კი მოუწიათ სამუშაო ადგილების შემცირება. მთავრობამ უნდა იფიქროს ამ უმუშევრად დარჩენილი ხალხის გადამზადებასა და მათთვის ახალი შესაძლებლობების მიცემაზე“.**

სადიკოვისვე თქმით, საქართველოს ეკონომიკაში, 2013 წლის ზაფხულიდან აღმასვლის ტენდენციაა, ზრდა ახლაც გრძელდება და, თუ ეს დინამიკა შენარჩუნდა, სავალუტო ფონდი ამ გაზაფხულზე ან ზაფხულში საქართველოს ეკონომიკის ზრდის წლევანდელ 5%-იან პროგნოზს გადახედავს: **„საქართველოსთვის ახლა მთავარია ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება, რისთვისაც აუცილებელია ინვესტორთა ნდობის დაბრუნება. გარეპირობები, რასთანაც უწევს საქართველოს გამკლავება, რთულია, აუცილებელია, შეიქმნას პირობები, რათა ინვესტორებისთვის აქ ფულის ჩადება კომფორტული იყოს. ქვეყანას სჭირდება მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ინვესტირება ინფრასტრუქტურაში და საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობის გამოყენება“.**

***bpi.ge***



## მუნიციპალური საწარმოების დასაფინანსებლად, თბილისის ბიუჯეტში 10 მლნ ლარია გამოყოფილი

დედაქალაქის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა, სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, 2014 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული მუხლები განიხილეს და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს. საკრებულოს დეპუტატის, მამუკა კაციტაძის ინიციატივით, დედაქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში 10 მილიონი ლარი გამოიყო, რომელიც ახალი მუნიციპალური საწარმოების დაფინანსებასა და, ზოგადად, ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს. კომისიაში აცხადებენ, რომ ანალოგიური პროგრამები ცენტრალურ ბიუჯეტშიც არსებობს, თუმცა აღნიშნული თანხა ხელისუფლებასთან დაახლოებულ ოლიგარქებს ხმარდება.

საკრებულოს დეპუტატის, მამუკა კაციტაძის განცხადებით, აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ საწარმოების თანადაფინანსებასა და მცირე ბიზნესის განვითარებას, არამედ ქართული პროდუქციისა და სამუშაო ადგილების შექმნას. მისივე თქმით, კრედიტის რაოდენობაზე მერია იმსჯელებს, საკრებულო კი საკითხს კონტროლზე აიყვანს და მონიტორინგს ბოლომდე განახორციელებს: **„კარგია სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი, მაგრამ ამ ფინანსურმა დოკუმენტმა მეწარმეობისადმი მზრუნველობა აუცილებლად უნდა გამოიჩინოს“.**

***bpi.ge***

# „პროცესი თუ არ შევაჩერეთ, ქართველი ერი გადაშენდება“

## რატომ გააყალბეს შობადობის სტატისტიკა ნაციონალებმა და რამდენად ეფექტური იქნება მთავრობის ახალი დემოგრაფიული პროგრამა

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

**ახალი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ყოველ მესამე შვილზე ფულად დახმარებას ითვალისწინებს, რიგ რეგიონებში 2014 წლის 1 ივნისის შემდეგ დაბადებულ ბავშვებზე ამოქმედდება. რამდენად შეაჩერებს ახალი წამოწყება ჩვენს სამშობლოში ფიზიკური წყვეტის პროცესს და რატომ არ მოიცვა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ მთელი საქართველო? „ვერსიის“ კითხვებს პროფესორი, დემოგრაფი ანზორ თოთაძე პასუხობს, რომელიც დემოგრაფიული განვითარების ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ.**

**— ბატონო ანზორ, თქვენი აზრით, ეფექტური იქნება დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის მცდელობა?**

— თამამად ვიტყვი, რომ თვე, როცა დემოგრაფიაზე ზრუნვა დაიწყო, ისტორიულია. მისასალმებელია, სამთავრობო დონეზე რომ წყდება დემოგრაფიული პრობლემები, სამუშაო ჯგუფს კი სათავეში პრემიერ-მინისტრი ჩაუდგა. როცა საკითხს ამ დონეზე ექცევა ყურადღება, გადაწყვეტის ხარისხიც მაღალი იქნება. უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების მიუხედავად, ბოლო 9 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო ერთადერთი იყო, რომელიც ამ მხრივ უკან-უკან წავიდა, მეტიც — ხელს უშლიდნენ ჩვენი ერის გამრავლებას და ფაქტობრივად, უფსკრულის პირას ვართ.

ზოგადად, დემოგრაფიული პრობლემა ბევრ ქვეყანაშია. ჯერ კიდევ 90-იან წლებში, ოჯახებში შინაური ცხოველები განსაკუთრებით მომრავლდნენ. იაპონიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ შობადობის შემცირების ფონზე, ძაღლების რაოდენობა საგრძნობლად იზრდებოდა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ისინი არამარტო პენსიონერებს, ხშირად ახალგაზრდა წყვილებსაც ჰყავთ. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლუტარქე წერდა უცხოელებზე: დაუჭერიათ ხელში ძაღლები და მშობლის ინსტინქტი, მზრუნველობა და ალერსი მათზე გადააქვთო. სამწუხაროდ, ხშირად, მართლაც ასეა. ცხოველთა აცრების, მკურნალობის ხარჯი რომ დაიანგარიშოთ, მიხვდებით, ეს თანხა ნებისმიერ დემოგრაფიულ პრობლემას მოხსნიდა.



**— პრობლემას, როგორც ამბობთ, მთავრობის ახალი მიდგომაც მოხსნის. ეს დახმარება რატომ გაიცემა მხოლოდ მესამე და არა მეოთხე ან მეხუთე ბავშვზე?**

— ქალების უმრავლესობა, მეექვსე და მეშვიდე ბავშვს არ გააჩენს. ჩვენთან, შარშან და შარშანწინ, მეხუთე-მეექვსე... სულ 500-მდე ბავშვი დაიბადა. მეორე შვილი კი 20-30 ათასმა გააჩინა. თუ აქცენტს მესამე ბავშვზე გავაკეთებთ, საქართველოს მოსახლეობა 25-30 ათასით გაიზრდება რისთვისაც დემოგრაფები 20 წელია ვიბრძვით. თუ ყველა ქალი გააჩენს მხოლოდ 2 ბავშვს, ერი დიდი ხნის შემდეგ გაქრება — ორი ბავშვი არ არის საფუძველი, რაოდენობა შევინარჩუნოთ, რადგან წლამდე პატარების დაღუპვის დიდი ალბათობაა. მოკლედ, წელს თუ 57 ათასი ჩვილი დაიბადა, მეორე წელს ეს რიცხვი 1000-ით მაინც შემცირდება. გარდა ამისა, ყველა ქალი ვერ გათხოვდება, ზოგი უნაყოფოა, 2,1 ბავშვია საჭირო, რათა რაოდენობა შევინარჩუნოთ. მკითხველი რომ არ დავაბნიოთ, აგიხსნით: ერთ ოჯახში როცა 3 ბავშვია, მეორეში კი 2, საშუალოდ, გამოდის 2,5 ბავშვი, რაც გარანტიაა, რომ მოსახლეობა არ შემცირდება, ხოლო, თუ ყველას 3 შვილი ეყოლება, ერი გამრავლდება.

**— რატომ გადაწყდა ამ პროგრამის გარკვეულ რეგიონებში გატარება?**

— თავისებურად, დემოგრაფიული პოლიტიკა ფუფუნებაა, უზარმაზარ თანხას მოითხოვს და დიდ ქვეყნებშიც კი მთავრობას უჭირს მისი გატარება. რადგან დღეს მეტი თანხა არ გვაქვს, გადავწყვიტეთ, სახსრები, ჯერჯერობით, იმ რეგიონებისკენ მიგვემართა, სადაც ბუნებრივი კლებაა ანუ გარდაცვალება შობადობას სჭარბობს, ესაა — კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, სამეგრელო, ზემო სვანეთი, იმერეთი, გურია.

იმის გამო რომ, ბოლო 40 წელია, მეტი ადამიანი კვდება ვიდრე იბადება, რაჭა-ლეჩხუმი, სულ რაღაც, 10-15 წელიწადში გაუკაცრიელდება; ამას გარდა, იქ მიგრაციული პროცესებიც ინტენსიურია და მდგომარეობის გამოსასწორებლად, ოჯახის ბიუჯეტს მესამე ბავშვი ტვირთად რომ არ დააწვეს, ყოველთვიურად წავახალისებთ დედებს, რომლებიც შვილს 2014 წლის 1 ივნისიდან გააჩენენ. ეს თანხა, ბარის მოსახლეობისთვის 150, ხოლო მთაში 200 ლარი იქნება. არავის ეგონოს, პრობლემა გაისად მოგვარდება, დემოგრაფიული პროცესები ხანგრძლივ დროს მოიცავს — „თაობის სიგრძე“ 28 წელია ანუ ახლადდაბადებულ გოგონას ბავშვი, დაახლოებით, 28 წლის ასაკში ეყოლება. მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი, უფრო მაღალი იყო ბუნებრივი მატება, ვიდრე დღესაა. ახლა საშინელი ვითარებაა, ეს პროცესი უნდა შევაჩეროთ და ქვეყანა ფიზიკური წყვეტისგან ვიხსნათ.

**— საზოგადოებაში ასეთი მოსაზრებაც არსებობს, რომ უწინ თავდაცვის საშუალებები ასეთი აქტუალური არ იყო და სინამდვილეში, მატება არასასურველი ორსულობის ხარჯზე ხდებოდა.**

— ეს მოსაზრება არასწორია... შუა საუკუნეებშიც კი იყო უამრავი მეთოდი, არასასურველი ფეხმძიმობის თავიდან ასაშორებლად. 2004-2005 წლებში, საქართველოში, ბუნებრივი მატება, ფაქტობრივად, აღარ იყო და, როგორც იქნა, მიიღეს ზომები ამ პრობლემის მოსაგვარებლად. კარგია ისიც, რომ მშობიარობა უფასოა, დეკრეტული შვებულების ხანგრძლიობა და ანაზღაურება გაიზარდა, ფულადი კომპენსაციაც შედეგს აუცილებლად გამოიღებს, რადგან შობადობა საქართველოში, მხოლოდ და მხოლოდ, სიდუხჭირის გამო შემცირდა. ბუნებრივია, პირობების გაუმჯობესების შედეგად, შობადობაც გაიზრდება. პროფესორი გია წულაძე ამას სოციალურ დახმარებას ეძახის, კაცი დემოგრაფია და ვერ გაუგია, მესამე ბავშვის გაჩენის შემთხვევაში თანხის მიღება, დემოგრაფიული პოლიტიკა რომაა.

**— თუ შობადობა სიდუხჭირის გამო მცირდება, დემოგრაფიული პრობლემა რატომ დგას დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, სადაც ცხოვრების დონე გაცილებით მაღალია?**

— აქაც ეკონომიკური ფაქტორი მოქმედებს. თუ იქ, ჩვენთან შედარებით, მაღალი ანაზღაურებაა, ბავშვის მოვლა-პატრონობაც 3-4-ჯერ ძვირი ჯდება. შობადობის დონეს, ძირითადად, ეკონომიკური პირობები საზღვრავს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ტარდებოდა დემოგრაფიული პოლიტიკა ძველ საბერძნეთსა და რომში. ბავშვი რომ დაიბადებოდა, ფულად დახმარებასთან ერთად, ოჯახებს მთელი რიგი შეღავათები ჰქონდათ.

**— ამბობთ, დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოში ბოლო 9 წლის განმავლობაში არ გატარებულაო და 2008 წელს, კრიზისის დროს, შობადობის მაღალი მაჩვენებელი რატომ დაფიქსირდა?**

— 2008 წლის შემდეგ სამოქალაქო რეესტრს სათავეში გიორგი ვაშაძე ედგა. მაშინ გააკეთეს ისე, თითქოს საქართველოში შობადობა 2009 წელს 7000-ით გაიზარდა. რა დროიდანაც ჩვენს ქვეყანაში აღრიცხვა წარმოებს, ეს ციფრი მაქსიმუმ 500-1000 იყო და მოსახლეობის მსგავსი მატება არასოდეს დაფიქსირებულა. ეს გახლდათ მაამებელი პოლიტიკა, რომელიც იმისთვის გაატარეს, მერე პრეზიდენტს ეთქვა, შობადობის ბუმიაო. როგორ შეიძლება, ომისა და კრიზისის დროს ამხელა მატება ყოფილიყო?

**— ეს თუ იცოდით, ნაციონალები დემოგრაფიული სტატისტიკის გაყალბებაში რატომ არ ამხილეთ?**

— როცა ავტეხე განგაში, უკან დაიხიეს და 63 ათასი დაბადებულიდან მომდევნო წლებში 57 ათასზე ჩამოვიდნენ, მაგრამ ესეც არასწორი ციფრები იყო. მარკ ტვენი წერდა — არსებობს 3 სახის სიცრუე: სიცრუე, საძაგელი სიცრუე და სტატისტიკაო. დანაშაულია, როცა შენი ერის სატკივარს მალავ და მის განკურნებაზე არ ზრუნავ.

# „წინა ხელისუფლების გაკეთებულ გზას, ორი წელი მაინც არ უნდა გაეძლო?“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირმა ნადირაშვილი, სხვადასხვა ქალაქის გზებზე არსებული მდგომარეობის გამო, პასუხისმგებლობას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, დავით ნარმანიას აკისრებს. დეპუტატი ვიდეოკოლაჟს წარმოადგენს, სადაც ასახულია გზებზე არსებული მდგომარეობა: **„კოლაჟში წარმოდგენილია სხვადასხვა ქალაქი, მათ შორის რუსთავი, ზუგდიდი, ქუთაისი, წყალტუბო. გზები დანგრეული და სავალალო მდგომარეობაშია. „ოცნებამ“ დაგვაბრუნა შევარდნაძის ეპოქაში, პასუხისმგებლობას კი ვაკისრებთ დავით ნარმანიას. ეს მისი უუნარო პოლიტიკის შედეგია, მან გააჩერა მთელი საქართველო, ინფრასტრუქტურული პროექტები და რაც მთავარია. გზები არ უნდა დანგრეულიყო... ნარმანიამ ამ პრობლემებს თავი ვერ გაართვა“.**

მისივე თქმით, პრობლემაა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე პრემიერის ოჯახთან დაახლოებული პირი იოსებ ქადაგიშვილი დაინიშნა. ირმა ნადირაშვილი მიმართავს დავით ნარმანიას და მოითხოვს განმარტებას, რა კრიტერიუმით შეირჩა ამ თანამდებობაზე ქადაგიშვილის კანდიდატურა: **„ნარმანიას საკადრო პოლიტიკის განხორციელებაც კი არ შეუძლია. გზების დეპარტამენტში, რომელიც ამ პრობლემებს უნდა აგვარებდეს, სინამდვილეში, სხვა საკითხები გვარდება. მიგვაჩნია, რომ ამ დეპარტამენტში კონკრეტული პირები დიდი რაოდენობით ფულს აკეთებენ და ამის საფუძველს გზებზე არსებული მდგომარეობა გვაძლევს. ქადაგიშვილი პრემიერის ოჯახის დაკვეთით დაინიშნა ამ თანამდებობაზე. მოხელეს, რომელიც იკავებს ამ პოსტს, შეხება აქვს რამდენიმემილიონიან სახელმწიფო თანხასთან. იოსებ ქადაგიშვილი წარსულში ნასამართლევია დიდი რაოდენობით ქრთამის აღების დროს შუამავლობისთვის. თავის დროზე ქადაგიშვილმა ითანამშრომლა გამოძიებასთან და აღიარა დანაშაული. ჩვენთვის ცნობილია, რომ მას გაქარწყლებული აქვს ნასამართლეობა და კანონი არ კრძალავს ასეთი პიროვნების დასაქმებას. მიუხედავად ამისა, გაუმართლებელია, ქადაგიშვილი იყოს ამ თანამდებობაზე“.**

ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირების ხელმძღვანელი ლავრენტი ალანია დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის კინკლაობაში არ ერევა, თუმცა პოზიციას აფიქსირებს: **„ბევრი აყრილი და განადგურებული გზა მინახავს წინა ხელისუფლების პირობებშიც. მათ მიერ გაკეთებულ ე.წ ავტობანს არაერთხელ ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები, ამიტომ ჯერ ყველამ თავის უახლოესი პოლიტიკური წარსული გაიხსენოს და მერე აკეთოს ნიშნისმომგები განცხადებები. ფაქტია, ერთ წელიწადში გზები ვერ აღდგებოდა, ამას დიდი თანხა სჭირდება. გარდა ამისა, დღეს ეს საქმიანობა აღარ არის პიარზე გათვლილი. რა ჯობია, ნელ-ნელა, ხარისხიანად გაკეთდეს საქმე თუ ჩქარა და უხარისხოდ? კინკლაობა არაფრისმომტანია. ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს“.**



რაც შეეხება საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე პრემიერის ოჯახთან დაახლოებული იოსებ ქადაგიშვილის დანიშვნას, ალანიას თქმით, **„საქართველო პატარა ქვეყანაა და ლამის ყველა ერთმანეთის ნათესავი თუ ახლობელია და ამის გამო ადამიანმა სამსახური ვერ უნდა დაიწყო? მახსოვს, ნაციონალების დროს უფრო მწვავედ იდგა ეს პრობლემა, ქადაგიშვილის მუშაობას კი დრო გამოაჩენს და არა ის, რომელი ოჯახის ან ნათესაობის წარმომადგენელია“.**

თავის მხრივ, ექსპერტი ავტოტრანსპორტის საკითხებში რობერტ იანტბელიძე ერთ მარტივ კითხვას სვამს: **„წინა ხელისუფლების მიერ გაკეთებულ გზას, ორი წელი მაინც არ უნდა გაეძლო? პოლიტიკური ძალების დაპირისპირებაში არ ვერევი, მაგრამ, სანამ ნარმანიას პასუხისმგებლობამდე მივლენ, ამ კითხვას უპასუხონ. თუ სტანდარტებითა და კარგად იყო გაკეთებული, ხუთი წელიც უნდა გაეძლო და მეტიც. მინისტრ ნარმანიას გაკეთებულის ხარისხი ერთ-ორ წელიწადში გამოჩნდება. არ გამოვა, ნარმანიასა და ახალ მთავრობას მიაწერო აქამდე გაკეთებული გზების ვარგისიანობა. ყველამ იცის, რომ გზას ჩქარა და უხარისხოდ აგებდნენ; ამავე დროს თბილისის გზებიც დანგრეულია და ვის დავაბრალოთ? მსოფლიოში ყველგან სავალ გზებს აფართოებენ, ჩვენთან კი ყველანაირად შეავიწროვეს და ამ მხრივ თბილისში რაც ხდება, სირცხვილია“.**

საქართველოში ყოველთვის ასეა – მთავარია პოლიტიკური ინტერესები, რეალური პრობლემები კი ეშმაკსაც წაუღია... ისედაც დანგრეული გზები უარესად იშლება, ამ დროს ხელისუფლება და ოპოზიცია ისეთ განცხადებებს აკეთებენ, თითქოს სხვადასხვა პლანეტაზე ბინადრობდნენ. წინა ხელისუფლებამ რა და როგორ გააკეთა, უკვე ვიცით, ახლა ჯერი დღევანდელ მთავრობასა და მის მარიფათზეა, თორემ ამ ქალაქის „იამკებს“ მალე ჯანმრთელი კენგურუებიც ველარ გადაახტებიან.

# „სამართლიანი იქნება, დღგ-ს გადასახადის გადავადების რეჟიმი ყველა გადამხდელისთვის ამოქმედდეს“



## რა იდეას აწვდის ილიაუნის პროფესორი „მრეწველებს“ და რატომ გააძვირებს გოგი თოფაძის ინიციატივა იმპორტირებულ პროდუქციას?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება — მრეწველების“ ინიციატივით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების კანონპროექტი მომზადდა. ცვლილების მიხედვით, საგადასახადო კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილები გაუქმდება, რომლის თანახმად, საქონლის იმპორტის დროს, იმპორტიორი დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) შეღავათიანი პირობებით სარგებლობდა. იმ შემთხვევაში, თუ იმპორტიორის მიერ წინა წელს გადახდილი დღგ-ს თანხა 200 000 ლარს გადააჭარბებდა, საქონლის იმპორტის დროს, დღგ-ს გადასახადს რამდენიმე თვით გადაუვადებდნენ. ახალი ინიციატივით, იმპორტისას გადასახადების გადამხდელები დღგ-ით დაბეგვრის თანაბარ პირობებში მოექცევიან. საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორებს მიაჩნიათ, რომ ახალი რეგულაცია არა მარტო მცირე და საშუალო ბიზნესს, არამედ ადგილობრივ, ქართულ წარმოებასაც განავითარებს.**

„მრეწველების“ ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე „ვერსიაში“ უკვე ვწერდით. გოგი თოფაძემ ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზოგადად, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრის თანაბარი რეჟიმი კი არა, ნედლეულის იმპორტი იგულისხმება. მაგალითად, თუ ლუდს აწარმოებთ, ნედლეულის სახით, ალაოს ან თუნდაც მინის ტარას, საქართველოში შეიძენდით, დღგ-ს გადასახადი მაშინვე უნდა გადაგეხადათ. თუ სხვა ქვეყნიდან შემოიტანდით, დღგ-ს გადასახადს რამდენიმე თვით გადაგივადებდნენ. ამიერიდან კი იმპორტის შემთხვევაში, დღგ-ს 18%-იან გადასახადს გადასახადის ყველა გადამხდელი უშუალოდ საბაჟოზე გადაიხდის.

„ვერსიასთან“ საუბრისას ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, **გიორგი აბაშიშვილმა** აღნიშნა, რომ გოგი თოფაძის საკანონმდებლო ინიციატივა ბუნდოვანია, რადგან შეუძლებელია, ამ ცვლილებამ ადგილობრივი წარმოების განვითარებას შეუწყოს ხელი: **„არ მგონია, ამ ინიციატივამ ადგილობრივი წარმოება განავითაროს, რადგან, მართალია, იმპორტის დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი მსხვილ იმპორტიორებს ეხსნებათ, მაგრამ დღგ-ს გადახდა საბაჟოზევე მოუწევს ყველას. იმის თქმა მინდა, რომ გოგი თოფაძის ინიციატივის მიხედვით, მსხვილი, მცირე და საშუალო ბიზნესი ერთნაირად მძიმე პირობებში მოექცევა. თუ ჩვენ ადგილობრივი წარმოების და ზოგადად, ბიზნესის ხელშეწყობა გვინდა, უმჯობესი იქნება, დღგ-ს გადასახადი ყველას ერთნაირად, თანაბარ პირობებში გადაუვადოთ. ჯამში, საბაჟოზე დღგ-ს გადახდა სწორი არ არის. მეწარმე ამ გადასახადს პროდუქციის მიწოდების დროს უნდა იხდიდეს. შესაბამისად, სწორი იქნება, თუკი გადასახადის გადამხდელები ერთნაირად გათავისუფლდებიან მსგავსი ტიპის რეჟიმისგან და რამდენიმე თვეში, მხოლოდ საქონლის მიწოდების დროს დაიბეგრებიან. ამ შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტად ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი გვექნება და ყველა თანაბარ პირობებში მოექცევა. აქამდე არსებული მოდელი არ მომწონდა, მაგრამ ამ მოდელს კიდევ უფრო დაამძიმებს ის ცვლილებები, რასაც გოგი თოფაძე გვთავაზობს“.**

რას ნიშნავს დღგ-ს გადასახადის გადახდა საქონლის იმპორტის დროს ან რა ნაწილში დაუმძიმდებათ მეწარმეებს მდგომარეობა? გიორგი აბაშიშვილის თქმით, იმპორტიორებს, რომლებსაც თავისუფალი საბრუნავი თანხა ჰქონდათ, ამიერიდან, საბაჟოზე მისი დატოვება მოუწევთ. თუ იმპორტიორს, პირობითად, 50 000 000 ლარის ღირებულების პროდუქცია შემოჰქონდა, ახალი ინიციატივის მიხედვით, დაახლოებით 5 000 000 ლარის საბაჟოზე გადახდა მოუწევს დღგ-ს სახით. რა თქმა უნდა, იმპორტიორი შეეცდება, 5 000 000 ლარით ნაკლები პროდუქცია შემოიტანოს, ან პროდუქციაზე ფასების ზრდით დააბალანსოს თავისი ფინანსური მდგომარეობა. იმპორტის მოცულობის შემცირებით, ადგილობრივი წარმოება ნამდვილად ვერ განვითარდება. მეტიც, ბაზარზე მის მიერ იმპორტირებული პროდუქციის დეფიციტი შეიქმნება, რაც სამომავლოდ, ფასების ზრდას გამოიწვევს.

თავის დროზე, მსხვილ იმპორტიორებს, რომლებსაც წინა წელს დღგ-ს სახით, 200 000 ლარზე მეტი ჰქონდათ გადახდილი, იმპორტის დროს, დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი იმიტომ დაუწესეს, ბიზნესის ტვირთი შეემცირებინათ და მეტი საბრუნავი თანხა დარჩენოდათ. სახელმწიფო ბიუჯეტში დღგ-ს გადასახადი მაშინვე არ შედიოდა, მაგრამ სამაგიეროდ, რამდენიმე თვის შემდეგ, იმპორტიორი ამ გადასახადს ჩვეულებრივ იხდიდა. ამ ტიპის გადავადება ბიზნესისთვის მართლაც შეღავათია. ცვლილება უფრო გასაგები რომ გავხადოთ, ჩვეულებრივი, საბანკო კრედიტის მაგალითი განვიხილოთ. ვთქვათ, კომერციულ ბანკში იღებთ სამომხმარებლო, ან იპოთეკურ სესხს. გარკვეული დოკუმენტების შევსების შემდეგ, თუ ყველაფერი წესრიგში გექნებათ, ბანკი სესხს დაგიმტკიცებთ და სესხის დაფარვის გრაფიკსაც დაგიდგენთ. თუკი გადასახადების გადამხდელები დღგ-ს საქონლის იმპორტის დროს კი არა, მზა პროდუქციის ბაზარზე მიწოდების შემთხვევაში, ანუ გარკვეული დროის შემდეგ გადაიხდიან, ამით სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავლები ნამდვილად არ დააკლდება. სამაგიეროდ, მეწარმეები ფინანსური ხარჯების დროში გადანაწილებას შეძლებენ, რაც ბიზნესის ხელშეწყობის ერთ-ერთი, მთავარი ფაქტორია. ეს იმას ნიშნავს, რომ დრო ბიზნესის წინააღმდეგ კი არ იმუშავებს, პირიქით, მისი „მეგობარი“ გახდება.

„მრეწველების“ ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მთავარი არსი ისიცაა, რომ გოგი თოფაძის განმარტებით, ადგილობრივი მწარმოებლები, რომლებიც იძულებულები იყვნენ, ნედლეული უცხოეთიდან შემოეტანათ, ამიერიდან საქართველოში შეიძენენ მას. ძალიან კარგი, მაგრამ დღგ-ს გადახდაც რომ მაშინვე მოუწევთ, ეს რა შეღავათია? გიორგი აბაშიშვილის თქმით, გაცილებით სამართლიანი იქნება, თუ დღგ-ს გადასახადის გადავადების რეჟიმი მხოლოდ იმპორტის კი არა, ზოგადად, ამ გადასახადის გადამხდელებისთვის ამოქმედდება: : **„ხელს რა გვიშლის, საქართველოში წარმოებულ ალაოზე, რომელიც ლუდის წარმოებაში ნედლეულად გამოიყენება, მეწარმემ დღგ-ს გადასახადი ამ პროდუქციის ბაზარზე მიწოდების დროს გადაიხადოს? ვფიქრობ, ზოგადად, დღგ-თი დაბეგვრის რეჟიმი, პროდუქციის ბაზარზე მიწოდების ეტაპზე უნდა გადავიდეს. თუ ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობაზე ვსაუბრობთ, სწორედ ამ გზით უნდა წავიდეთ და ყველა გადამხდელი თანაბარ პირობებში მოექცეს. ამით, ბიუჯეტს არაფერი დააკლდება. არც სახელმწიფოს მოაკლდება რამე — საუბარია დღგ-ს გადასახადის გადავადებაზე, რაც ყველასთვის და ყველა შემთხვევაში, საერთო წესად ანუ კანონად უნდა იქცეს“.**





# „ენერგო-პრო ჯორჯია“ პროფსასწავლებლების სტუდენტებს დაასაქმებს

**„ენერგო-პრო ჯორჯია“ დასაქმების ახალ პროექტს იწყებს. კომპანიის გადაწყვეტილებით, ის ახალგაზრდები, რომლებიც კონკურსის პირობებს დააკმაყოფილებენ და რომლებიც მიმდინარე წელს ჩაირიცხებიან პროფესიულ სასწავლებლებში ელექტრიკოსის, შემდუღებლის ან სხვა, მსგავსი პროფილის ფაკულტეტებზე, სწავლების პერიოდში, კომპანიისგან 150-200 ლარის სტიპენდიას მიიღებენ.**

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, **ავთო დვალიშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ სწავლების ბოლო ეტაპზე, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, სს „ენერგო-პრო ჯორჯიაში“, ერთიდან სამ თვემდე სტაჟირებას, შემდგომი დასაქმების პერსპექტივით გაივლიან. ამასთან დაკავშირებით, „ენერგო-პრო ჯორჯიასა“ და საქართველოს განათლების სამინისტროს შორის, მემორანდუმი გაფორმდება: **„პროექტის მიზანია, ხელი შევუწყოთ და მოტივაცია ავუმაღლოთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, რათა პროფესიული განათლება მიიღონ. აღნიშნული პროექტი, დარგის პოპულარიზაციასაც დაეხმარება. თავის მხრივ, ეს ხელს შეუწყობს სტუდენტების შემდგომ დასაქმებას კომპანიაში და მათ კარიერულ ზრდას. აქცენტი გაკეთდება მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებზე“.**

ავთო დვალიშვილისვე განცხადებით, სტიპენდიის მიღების მსურველებმა, კომპანიის სათავო ოფისში ან ფილიალებში, მიმდინარე წლის 27 აპრილამდე უნდა წარადგინონ განცხადება, ასევე მათ შეუძლიათ შეავსონ განაცხადი ელექტრონულად, კომპანიის ვებ-გვერდზე. ამის შემდეგ, გაიმართება გასაუბრება კანდიდატებთან, გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებსაც პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარების შემთხვევაში, „ენერგო-პრო ჯორჯიასგან“ სტიპენდია დაენიშნებათ.

საკონკურსო პირობების მიხედვით, განაცხადის შემომტანი, არაუმეტეს 35 წლის, საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს, რომელსაც საშუალო განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული და ინგლისურ ან რუსულ ენებს დაწყებით დონეზე უნდა ფლობდეს.

სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას“ პროექტში ჩაერთვებიან ბავშვთა სახლებიც. კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლები გეგმავენ, რომ ამ მიზნით, ბავშვთა სახლების დირექტორებსაც შეხვდნენ. კომპანიას სურს, რომ ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს, რომლებიც მალე დაიწყებენ დამოუკიდებლად ცხოვრებას, მოტივაცია გაუჩნდეთ, რათა პროფესიულ სასწავლებლებში, შესაბამის სპეციალობებზე ჩააბარონ. თავის მხრივ კი „ენერგო-პრო ჯორჯია“, სწავლების განმავლობაში, ბავშვთა სახლებიდან გამოსულ მოზარდებსაც გადაუხდის სტიპენდიას, თანაც კომპანიაში მომავალი დასაქმების პერსპექტივით.

*მაია მიშელაძე*

## ვერსიანიუსი

# თამირისის მოსახლეობა მკვლელობაში ეჭვმიტანილის ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვს




შსს-ს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული იაგო წ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 19 მარტს მოკლა მეზობელი, 1997 წელს დაბადებული მანანა ნ. და ცხედარი გადამალა. სამართალდამცველებმა მოკლული გოგონას ცხედარს მომხდარიდან რამდენიმე საათში მიაკვლიეს და ოპერატიული მოქმედებების შედეგად იაგო წ. ცხელ კვალზე დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

თამირისის მოსახლეობა 17 წლის გოგონას 52 წლის მკვლელის ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვს. მათი პროტესტი მას შემდეგ განსაკუთრებით გამძაფრდა, რაც გაიგეს, რომ მამაკაცმა გოგონა ჯერ გააუპატიურა, შემდეგ დანით ყელი გამოჭრა, საკუთარ ეზოში დაწვა და დამარხა. თამარისის მკვიდრებმა ეჭვმიტანილის ლინჩის წესით გასამართლების მოთხოვნით, პოლიციის შენობასთან აქციაც გამართეს.

*„ვერსიანიუსი“*

# საწვავის ახალი სახეობა აღმოაჩინეს




როგორც ჩანს, ებრაელი სწავლულები ბენ-გურიონის უნივერსიტეტიდან შეძლებენ ენერგეტიკის სფეროში „მწვანე რევოლუციის" მოწყობას. მათ მიერ შემუშავებული ეკოლოგიური ნედლეულის წარმოების პროცესი, რომელიც ნავთობს შეცვლის, დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული ორი ქიმიური ნაერთის — წყლისა და ნახშირმჟავა აირის გამოყენებას გულისხმობს. საწვავის სხვა ალტერნატიული წყაროებისგან განსხვავებით, რომლებიც ელექტრონულ ელემენტებს შეიცავს და მისი შექნისთვის დამატებითი ინსფრასტრუქტურაა საჭირო, ახალი, „მწვანე" ნედლეული უბრალოდ შეცვლის ნავთობს და გამოიყენება საწვავის გადამამუშავებელ ქარხნებში. მეცნიერთა თქმით, ეს ინოვაციური ტექნოლოგია კატალიზაციის პროცესს ეფუძნება, რომლის დროსაც განსაკუთრებულ მეთოდს გამოიყენებენ და რომლისთვისაც აქამდე არავის მიუმართავს. ეს პროცესი სინთეტური აირის გამოყენებას გულისხმობს, რომელიც წყალბადისა და ნახშირმჟავა აირის შერწყმით მიიღება. მისი მასობრივი წარმოებისას ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ხედავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ „მწვანე საწვავის" ახალი სახეობა, შესაძლოა, სულ მალე, 5-10 წელიწადში ყველგან გამოიყენონ.



# ჯალათის თანამდებობაზე ვაკანსია გამოცხადდა

შრი-ლანკაში ჯალათის ადგილზე გამოცხადდა ვაკანსია, რომელსაც უკვე გამოეხმაურა ორი ავსტრალიელი. ადგილობრივმა ჩინოვნიკმა განაცხადა, რომ ვაკანსიის დაკავების ერთ-ერთი მსურველი სამშობლოში სისტემურ ადმინისტრატორად მუშაობს, მეორის პროფესია კი უცნობია. საქმე ისაა, რომ შრი-ლანკა არ არის დაინტერესებული უცხოელი ჯალათის დასაქმებით და მათ სამსახურს ვერ შესთავაზებს, ასე რომ, სასიკვდილო განაჩენის აღმსრულებლის პოზიცია ჯერჯერობით თავისუფალია. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში 176-მა ადგილობრივმა გამოთქვა სურვილი, ჯალათის მოვალეობა შეესრულებინა, სამუშაოზე გამოცდილების მიღება კი მხოლოდ სამ მათგანს შესთავაზეს, თუმცა ორი არ გამოცხადდა სამსახურში, მესამემ კი თავად თქვა უარი. როგორც ამბობენ, ამ თანამდებობაზე მომუშავე ჯალათმა სამსახური იმის გამო მიატოვა, რომ სახრჩობელა თრგუნავდა და განწყობას უფუჭებდა, არადა არავინ ჩამოუხრჩია, რადგან 1976 წლის შემდეგ მსგავსი განაჩენი არ გამოუტანიათ, ამჟამად კი, შრი-ლანკას ციხეებში სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას 405 სიკვდილმისჯილი ელოდება.

# ტაძარი ლატარიაში ავტომატს ათამაშებს




ნიუ იორკში მდებარე ერთ-ერთი ბაპტისტური ეკლესია ლატარიაში გამარჯვებულს საჩუქრად AR-15-ს, ნახევრადავტომატურ შაშხანას გადასცემს. გათამაშება თვის ბოლოსაა დაგეგმილი, გამარჯვებული ბილეთის პატრონი კი იარაღით დაჯილდოვდება. ნიუ იორკის საკანონმდებლო ორგანოს ერთ-ერთი წევრი აცხადებს, რომ ამ ღონისძიებაზე დასწრებას გეგმავს და პროცესი იარაღის შესახებ არსებული ყველა კანონის დაცვით წარიმართება. მისი თქმით, ბევრ ადგილობრივ პასტორს იარაღი დააქვს, მაგრამ ისინი კანონმორჩილი მოქალაქეები არიან. ავტომატური შაშხანა რომ მოიგოთ, 18 წელს გადაცილებული უნდა იყოთ და მართვის ლიცენზიაც გქონდეთ. ეკლესია უფლებას იტოვებს, თუ მონაწილეს „საეჭვო ხასიათს" შენიშნავენ, დისკვალიფიცირებულად გამოაცხადებენ.

# პარკში სეირნობისას ალმასი იპოვა

აშშ-ს ლუიზიანას შტატის მცხოვრები, 20 წლის ბრენდონ კალენდა ცოტა ხნის წინ არკანზასში, ეროვნული პარკის დასათვალიერებლად წავიდა და იქ 2,89-კარატიანი თეთრი ალმასი იპოვა. პარკ „ალმასების კრატერის" განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ იქ ძვირფასი ქვების პოვნა ნებისმიერ მსურველს შეუძლია, თანაც ძვირფასი ქვის დატოვების უფლება აქვს. პარკში შესასვლელი ბილეთი კი სულ რაღაც 8 დოლარია უფროსებისთვის, 5 — ბავშვებისთვის. ლუიზიანელმა ახალგაზრდამ ძვირფასი ქვა პარკში შესვლიდან მალევე, 20 წუთში იპოვა. მისი ალმასი ბარდის მარცვლისხელაა და სამკუთხედის ფორმა აქვს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ნაპოვნი ქვა დაახლოებით 20 ათასი დოლარი ღირს, თუმცა, კალენდა აცხადებს, რომ ჯერჯერობით, არ აპირებს მის გაყიდვას. აღსანიშნავია, რომ წლის დასაწყისიდან „ალმასების კრატერზე" უკვე 40-მა ადამიანმა იპოვა ძვირფასი ქვა, თუმცა მათი წონა ერთ კარატს არ აჭარბებდა.






# ტურისტული სააგენტო საუკეთესო სამუშაოზე გიწვევთ

ტურისტული სააგენტო Luxury Travel Intelligence, რომელიც შეძლებულ კლიენტებს ემსახურება, პროფესიონალი მოგზაურის თანამდებობაზე ვაკანსიას აცხადებს. ვისაც გაუმართლებს, ვალდებული იქნება, ერთი წლის განმავლობაში პლანეტის საუკეთესო კურორტები მოიაროს — მაიამი, კუნძული ნეკერი, რომელიც მილიარდერ ტიჩარდ ბრენსონს ეკუთვნის, ასევე luxury-კლასის ოტელი Velaa Private Island მალდივებზე... უნდა ეწვიოს შამპანური ღვინოების სალონს ლას-ვეგასში და ისრიალოს თხილამურებით ევროპის ყველაზე პოპულარულ კურორტებზე. როგორც სპეციალისტებმა გამოთვალეს, ასეთი მოგზაურობის საშუალო ღირებულება დაახლოებით ერთი მილიონი დოლარია და ყველა ხარჯს საკუთარ თავზე იღებს ტურისტული კომპანია, პროფესიონალ მოგზაურს კი მოეთხოვება, გამოხმაურება დაწეროს ამა თუ იმ ადგილის შესახებ, მის ნაკლსა და უპირატესობებზე. სააგენტოს ასეთი ინფორმაცია მდიდარი კლიენტებისთვის სჭირდება, რადგან თავად სასტუმროებისა თუ კურორტების საიტებზე ნეგატიური გამოხმაურება არ მოიძებნება. კანდიდატებს ევალებათ, იყვნენ გამჭრიახები, კომუნიკაბელურები, სასიამოვნო მოსაუბრეები, ჰქონდეთ მოგზაურობის გამოცდილება, კარგად ერკვეოდნენ კულინარიაში, ხელოვნებასა და გართობაში. განაცხადის შესავსებად მსურველი უნდა შევიდეს საიტზე VeryFirstTo.com და 65 სიტყვაში დაწეროს, რატომაა უნიკალური მოგზაურობის ღირსი.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# „ქამელეონი" ჯინსი შექმნეს

კანადურმა ბრენდმა Naked&Famous ჯინსი გამოუშვა, რომელიც სხეულის ტემპერატურის მიხედვით, ფერს იცვლის. თუ ადამიანს შესცივდა, ჯინსი ლურჯი ფერის ხდება, ხოლო, როცა სხეულის ტემპერატურა იმატებს, თეთრი ფერი ხდება. ეფექტი თერმოქრომული საღებავის მეშვეობით მიიღწევა, რომლის შემადგენლობაშიც შედის მოლეკულები და სწორედ ისინი იცვლის ფერს ტემპერატურის ცვლილებისას. ჯინსი უკვე გაყიდვაშია და 240 დოლარი ღირს. კანადური ფირმა Naked&Famous რამდენიმე წელია ბაზარზე გამოვიდა, თუმცა კლიენტებს თავს ორიგინალური ნაწარმით ამახსოვრებს. ცოტა ხნის წინ მომხმარებელს შესთავაზეს ჯინსი, რომელსაც ჟოლოს კანფეტის სურნელი ჰქონდა და სიბნელეში ანათებს.



# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | | | | 6 | 3 |
| 8 | 7 | 6 | 3 | 2 | | | | |
| | | | 7 | | | | 1 | |
| 2 | | | | 4 | 3 | | | |
| | 4 | 7 | 5 | | 2 | 3 | 9 | |
| | | | 1 | 7 | | | | 2 |
| | 6 | | | | 8 | | | |
| | | | | 3 | 7 | 6 | 8 | 9 |
| 4 | 9 | | | | | | 3 | |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | | 1 | | | 9 | |
| | | | 9 | | | | 2 | 7 |
| | 3 | | | | | | 8 | |
| 8 | | | 1 | | | 7 | | |
| | 5 | 4 | | 7 | | 6 | 1 | |
| | | 3 | | | 4 | | | 8 |
| | 4 | | | | | | 3 | |
| 5 | 9 | | | | 2 | | | |
| | 8 | | | 5 | | | | 1 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | 2 | | | 5 |
| | | | | | | 4 | | 2 |
| 5 | 3 | | 4 | | | | 8 | |
| | | | 3 | | | 8 | | 4 |
| | 1 | | | 8 | | | 5 | |
| 2 | | 9 | | | 6 | | | |
| | 2 | | | | 4 | | 7 | 1 |
| 7 | | 1 | | | | | | |
| 3 | | | 1 | | | 5 | | |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | 2 | | | | |
| 2 | | | | 9 | | | 4 | 3 |
| | | | | | 4 | 7 | 1 | |
| | | | 2 | | | | | |
| 9 | | 3 | | 1 | | 6 | | 8 |
| | | | | | 5 | | | |
| | 1 | 9 | 5 | | | | | |
| 6 | 2 | | | 8 | | | | 4 |
| | | | | 7 | | 8 | | |

## პროდუქტი, რომელიც თავს გვატკიებს



ტრადიციულად, ადამიანებს სჩვევიათ, თავისტკივილი ამინდს, უძილობას ან დაღლილობას დაუკავშირონ, თუმცა, სწავლულთა აზრით, ხშირად მიზეზი მირთმეული პროდუქტია, რასაც ადასტურებს ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევები. თუ მოულოდნელად „უმიზეზოდ“, „არაფრის გამო“ თავი აგტკივდათ, გირჩევნიათ, საკუთარი კვების კორექტირება მოახდინოთ, — აცხადებს ამერიკელი ნევროლოგი სეიმურ სოლომონი. პირველ რიგში, ტკივილზე პასუხისმგებელია ალკოჰოლური სასმელი, განსაკუთრებით ლუდი და წითელი ღვინო. მათში არსებული ჰისტამინი ჩვენი იმუნიტეტის სტიმულირებას ახდენს, მაგრამ ამავდროულად, სისხლძარღვებზე ისე მოქმედებს, რომ თავისტკივილს იწვევს. ხშირად ამ უსიამოვნო შეგრძნებას კოფეინი იწვევს — ბევრ ადამიანს დილით გამოფხიზლება ფინჯანი ყავის გარეშე ვერ წარმოუდგენია და დღის განმავლობაშიც თავს ამ არომატული სასმელით იმხნევებს. თუ ბევრ ყავას მიირთმევთ და გაუგებარი მიზეზის გამო თავისტკივილი გაწუხებთ, სჯობს, ამ სასმელის რაოდენობა შეამციროთ.

შემდეგ მოდის ხორცპროდუქტი: სოსისი, შაშხი, ძეხვი... როგორც წესი, მათში ამატებენ ნიტრიტს (ვარდისფერი შეფერილობის მისაღებად), რომელიც პირდაპირი გზაა თავისტკივილისკენ. არც ისე ცოტა ნიტრიტს შეიცავს ასევე ფასტ-ფუდიც. აშშ-ში სპეციალური ტერმინიც კი გაჩნდა — მიირთვი ჰოთდოგი და თავისტკივილი გარანტირებული გექნებაო. ზოგიერთ შემთხვევაში, ტკივილში „დამნაშავე“ შეიძლება იყოს არაქისი, პომიდორი, ყველის ზოგიერთი სახეობა, შოკოლადი, ფქვილი და რძეც კი — საქმე ისაა, რომ ყოველი მათგანი შეიცავს ამინებს, მათ შორის, ტირამინსაც. თავისტკივილის რისკჯგუფში შედიან ასევე აღმოსავლური სამზარეულოს მოყვარულები, აქაურ კერძებში დიდი რაოდენობით სუნელებს იყენებენ. ბევრი მათგანი კი ისეთ დანამატს შეიცავს, როგორიც მონონატრიუმის გლუტამატია. სწავლულებმა გაარკვიეს, რომ მოსახლეობის 10-20% თავისტკივილს უჩივის, რომელიც ჭამიდან 15 წუთის შემდეგ იწყება.

## ყველაზე ძველი დაავადება გამოავლინეს



მეცნიერებმა ტეხასის უნივერსიტეტიდან შეძლეს იმის გარკვევა, რომელი ინფექციური დაავადებაა ყველაზე ძველი მსოფლიოში. და ასეთად მათ განსენიაზი (მას კეთრის სახელით მოიხენიებენ) დაასახელეს. დღეს მსოფლიოში ამ სენისგან, რომელიც აზიანებს ნერვულ სისტემას, კანის საფარსა და შინაგან ორგანოებს, ასობით ათასი ადამიანი იტანჯება, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ ინფექციით ჩვენი წინაპრები, დაახლოებით, 10 მილიონი წლის წინ დასნებოვდნენ, როცა აფრიკას ტოვებდნენ და ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ადგილებში სახლდებოდნენ. მას შემდეგ, რაც 2008 წელს ტეხასელმა მკვლევარებმა ამ დაავადების ახალი ბაქტერია ჯყცობაცტერიუმ ლეპრომატოსის აღმოაჩინეს, მისი ორ ათეულზე მეტი გენი შეისწავლეს და დაადგინეს, რომ რამდენიმე მილიონი წლის განმავლობაშიც კი, გენების დონეზე კეთრი უცვლელი რჩება. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კეთრის ბაქტერიებს ადამიანის ორგანიზმის გარეთ არსებობა არ შეუძლიათ. ბაქტერიის ოთხასზე მეტ შტამს იდენტური გენომი აქვს, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ადამიანის შორეული წინაპრები ამ დაავადებით ინფიცირდებოდნენ.

## „ხელთათმანი“ გულისთვის



3D-ბეჭდვის ტექნოლოგიის გამოყენებით, ამერიკელმა მეცნიერებმა უნიკალური მემბრანა შექმნეს, რომელიც გულის მუდმივად მუშაობას შეუწყობს ხელს. ასეთი ელასტიური მემბრანა, რომელიც გულს ხელთათმანივით ეცმევა, აღჭურვილი იქნება ელექტროდებით, რომელთა ამოცანა გულის ფუნქციის გაკონტროლებაა. ახალი გამოგონების შრომისუნარიანობისა და ეფექტურობის დასამტკიცებლად, მისი პროტოტიპი ბოცვერის გულზე გამოსცადეს. სიახლის ავტორები აშშ-ს ილინოისისა და ვაშინგტონის უნივერსიტეტის სპეციალისტები არიან, რომლებიც იმედოვნებენ, რომ მათი ქმნილება მომავალში ადამიანებს გულის შეტევისგან დაიცავს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელსაწყო მხოლოდ 10-15 წლის შემდეგ იქნება ხელმისაწვდომი. მოწყობილობას შეუძლია, კარდიოსტიმულატორები ჩაანაცვლოს. ელასტიურ მემბრანაზე არსებული გადამცემები ნერვული სისტემის სიგნალებს იყენებს პულსის რეგულირებისთვის და ეს მეთოდოლოგია საშუალებას აძლევს მოწყობილობას, გულისცემა შეინარჩუნოს მაშინაც კი, როცა ადგილი აქვს გულის შეტევას ან არითმიას. ელექტრული სტიმული გულის მუშაობას არეგულირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლი არტერიებსა და ვენებში ცირკულირებას განაგრძობს და ადამიანებს სიცოცხლეს უნარჩუნებს.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 5 | 9 | 7 | 6 | 4 | 2 | 1 |
| 2 | 4 | 1 | 8 | 5 | 3 | 9 | 7 | 6 |
| 9 | 7 | 6 | 4 | 1 | 2 | 5 | 3 | 8 |
| 1 | 6 | 2 | 7 | 9 | 8 | 3 | 5 | 4 |
| 8 | 3 | 9 | 6 | 4 | 5 | 2 | 1 | 7 |
| 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 6 | 9 |
| 6 | 1 | 8 | 5 | 3 | 9 | 7 | 4 | 2 |
| 5 | 9 | 7 | 2 | 6 | 4 | 1 | 8 | 3 |
| 4 | 2 | 3 | 1 | 8 | 7 | 6 | 9 | 5 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 9 | 5 | 6 | 8 | 4 | 7 | 3 |
| 8 | 7 | 5 | 9 | 4 | 3 | 6 | 1 | 2 |
| 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 5 | 9 | 8 |
| 7 | 8 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 5 | 9 |
| 5 | 3 | 4 | 6 | 9 | 1 | 2 | 8 | 7 |
| 9 | 2 | 1 | 8 | 7 | 5 | 3 | 4 | 6 |
| 4 | 9 | 2 | 1 | 8 | 6 | 7 | 3 | 5 |
| 3 | 6 | 8 | 7 | 5 | 4 | 9 | 2 | 1 |
| 1 | 5 | 7 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 4 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 5 | 9 |
| 6 | 5 | 9 | 2 | 4 | 8 | 7 | 3 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 5 | 7 | 9 | 8 | 6 | 4 |
| 2 | 4 | 5 | 1 | 9 | 7 | 6 | 8 | 3 |
| 8 | 1 | 3 | 4 | 6 | 5 | 9 | 7 | 2 |
| 7 | 9 | 6 | 3 | 8 | 2 | 1 | 4 | 5 |
| 1 | 7 | 4 | 9 | 5 | 6 | 3 | 2 | 8 |
| 9 | 6 | 2 | 8 | 3 | 4 | 5 | 1 | 7 |
| 5 | 3 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 9 | 6 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 9 | 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 8 |
| 4 | 6 | 3 | 2 | 8 | 1 | 7 | 9 | 5 |
| 8 | 5 | 2 | 9 | 7 | 3 | 6 | 4 | 1 |
| 3 | 4 | 7 | 1 | 2 | 6 | 5 | 8 | 9 |
| 2 | 9 | 1 | 7 | 5 | 8 | 4 | 6 | 3 |
| 6 | 8 | 5 | 4 | 3 | 9 | 2 | 1 | 7 |
| 9 | 3 | 8 | 5 | 6 | 4 | 1 | 7 | 2 |
| 5 | 2 | 4 | 8 | 1 | 7 | 9 | 3 | 6 |
| 7 | 1 | 6 | 3 | 9 | 2 | 8 | 5 | 4 |

მე-12 გვერდი: 1. ფილიპინები; 2. კომეტა; 3. ფილისტერი; 4. ლენცოფა; 5. პრიმა; 6. კირილიცა; 7. მალაკოლოგია; 8. ტატუ; 9. პლანკი; 10. პალანკინი; 11. რადონი; 12. რულეტი; 13. აქილევსი; 14. აბულია; 15. სპორა; 16. ბაქო; 17. ტაფა; 18. დონი; 19. ლუკა; 20. ელადა; 21. ლელო; 22. ალაო; 23. აომინი; 24. ცელი; 25. ბრა; 26. მაშა; 27. ორფეოსი; 28. ეგო; 29. კლიო; 30. ბანანი; 31. დვრიტა; 32. მარაო; 33. შასი; 34. ვირა; 35. მედრესე; 36. ფასო; 37. ოლიმპო; 38. ლეია; 39. ვარია; 40. აქერონტი; 41. ჯილა; 42. ნომი; 43. მაროდიორი; 44. „კორონა“; 45. ჯოან; 46. ალი; 47. ოსლო; 48. დვირი; 49. სიტე; 50. აქსიომა; 51. გრიპი; 52. ინდოეთი; 53. დეილ; 54. პო; 55. რევერსი; 56. ქვა; 57. სუკრე; 58. „დანაე“; 59. კოლინა; 60. ვალიდოლი; 61. მაკრინე; 62. „რომა“; 63. დრეზინა; 64. დონგი; 65. ალეპო; 66. კლეი; 67. ავი; 68. სტარკი; 69. ფიჭა; 70. გელა; 71. ფორე; 72. პიერ; 73. ვოკი; 74. ეიკონი; 75. იგავი; 76. ლევი; 77. ფო; 78. ობი; 79. კენზო; 80. თორმეტი; 81. მოსე; 82. სე; 83. „ირმისა“; 84. ყრუ; 85. ტერცია; 86. სან.

## სველი ხელსახოცი ალერგიას იწვევს

დერმატოლოგები მშობლებს აფრთხილებენ, რომ სველი ხელსახოცები საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას და შესაძლოა, კანის პრობლემების მიზეზი გახდეს. დოქტორი როზმარინ ნიკსონი აღნიშნავს, რომ ეს ხელსახოცები იჟღინთება ანტიბაქტერიული სითხით, რომელიც დერმატიტს პროვოცირებს, რადგან მის შემადგენლობაშია კონსერვანტი მეთილიზოტიაზოლინონი. ერთ-ერთი ავსტრალიური კლინიკის სტატისტიკის მიხედვით, 2013 წელს, ამ კონსერვანტმა კანის ნეგატიური რეაქცია გამოიწვია 353 პაციენტში, 2012 წელს ამ მაჩვენებელმა 8,4% შეადგინა, 2011-ში — 3,5%. ჩანს, ალერგიული რეაქციის რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. წითელი გამონაყარი კანზე ხელსახოცთან კონტაქტიდან 48 საათის შემდეგ ჩნდება და შესაძლოა, მიზეზი ისაა, რომ კონსერვანტის რაოდენობა ძალიან დიდია. ეს ნაერთი კიდევ უფრო საშიშია, თუ კანზე ადამიანს ჭრილობა ან ნაკაწრი აქვს. გარდა ბავშვებისთვის განკუთვნილი სველი ხელსახოცებისა, ამ კონსერვანტს, შესაძლოა, ასევე შეიცავდეს დეზოდორანტი, კოსმეტიკური პროდუქცია, კონდიციონერები, დამატენიანებელი და მზისგან დამცავი კრემები, ბევრმა მშობელმა კი არაფერი იცის სველი ხელსახოცებისგან მომდინარე საფრთხის შესახებ.



## კროსვორდი




1. მამაკაცის სასქესო უჯრედი
2. ძროხა პირველი ხბოს მოგებამდე
3. ადამიანის ფეხის ქვედა ნაწილი
4. დიდი ფრანგი მათემატიკოსი
5. ფოჩებიანი დიდი შალი
6. ნახევარგამტარებით მომუშავე პატარა რადიომიმღები
7. თავადზე დაბალი ტიტული
8. მსხვილი მონოპოლის. კაპიტალის წარმომადგ.
9. მიწაში ამოთხრილი ადგილი
10. მექანიზმის, მანქანის ნაწილი
11. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში
12. ფუტკრის სახლი
13. ქრისტეს წინამორბედი
14. ესპანეთის საკურორტო კუნძული
15. კალათბურთის გამომგონებელი
16. ადამიანის ცხოვრების აღწერა
17. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
18. ბერძნული ანბანის ასო
19. მაუგლის მეგობარი დათვი
20. პატარა ტყე მინდორში
21. სომეხთა წმინდანი ქალი
22. სიგიჟის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
23. ისლანდიელი მომღერალი ქალი
24. კრების წერილობითი ჩანაწერი
25. ვაზის წყვილმტევნიანი რქა
26. სპილბერგის უცხოპლანეტელი
27. სოფელი ადიგენის რაიონში
28. საქართველოს პირველი დედაქალაქი
29. თანამედროვე ეგვიპტის დედაქალაქი
30. თბილ. „დინამოს“ ექსმწვრთ. ... შუშაკი
31. ჩინეთის იმპერ. დინას.
32. ხორთუმ. ცხოველი
33. მტაცებელი თევზი
34. გრაფი სეგედის როლის შემსრულებ.
35. ორი ერთმანეთში გაუხს. სითხის ნარევი
36. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
37. ბავშვთა სასრიალო მარხილი
38. საზეიმო სვლა, პროცესია ავტომობილების თანხლებით
39. ცხენირემი
40. სალამი! გამარჯობა! ლათინურად
41. რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავი
42. ვეშაპის მუცელში მჯდარი ბიბლ. პერსონ.
43. ქართველი მეცოსოპრანო
44. საგანთა ჩამონათვალი
45. ინგლ. სქელი ლუდი
46. ფუტკრის ნობათი
47. ყოფილი ფრანგი ჩოგბურთელი
48. ხრიკი, ფანდი
49. მარილიანი ტბა ბოლივიაში
50. კურკოვანი ხეხილოვანი მცენარე
51. მოულოდნელი რევიზია
52. ავტომობილების მწარმოებელი ფრანგ. კომპანია
53. დანიის სიდიდით მესამე ქალაქი
54. ალაზნის მარჯვენა შენაკადი
55. ზღვაოსანთა კუნძულები
56. პლანეტა იუპიტერი ძველქართ.
57. მაყურებელთა შეძახილი კონცერტზე ნომრის გამეორების თხოვნით
58. ლეგენდარული საბჭოთა მეკარე
59. მუსიკოსი ... დილანი
60. დუმბაძის „... ვხედავ მზეს“
61. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
62. რუმინეთის ქალაქი, სადაც ბესიკ გაბაშვილი განისვენებს
63. ფელინის მშობლიური ქალაქი

# დიაბეტისგან დამცავი მუტაცია აღმოაჩინეს



მკვლევარების საერთაშორისო ჯგუფმა გენეტიკური მუტაცია აღმოაჩინა, რომელიც მის მატარებლებს მეორე ტიპის დიაბეტისგან იცავს მაშინაც კი, თუ არსებობს ისეთი რისკფაქტორები, როგორიც სიმსუქნე, ასაკი და ცხოვრების არაჯანსაღი წესია. სამკურნალო პრეპარატის შემუშავება, რომელიც დამცავი ეფექტის იმიტირებას მოახდენს, დიაბეტის თერაპიისა და პროფილაქტიკის სტრატეგიას შეცვლის, — იმედოვნებენ მკვლევარები. Broad Institute, Massachusetts General Hospital, Pfizer Inc.da Lund University Diabetes Centre-ის სპეციალისტთა ერთობლივი მუშაობა ამ თემაზე ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო — მათ ყურადღება მიაქციეს გენ SLC30A8-ს. კვლევის პირველ ეტაპზე შვედეთისა და ფინეთის დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში აღმოაჩინეს მუტაცია, რომელიც თიშავდა SLC30A8-ის ფუნქციას, 2012 წელს კი ისლანდიაში გამოვლინდა კიდევ ერთი მუტაცია ამავე გენის ფუნქციის დაკარგვით. აღმოჩნდა, რომ ეს ორივე ვარიანტი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მეორე ტიპის დიაბეტის რისკსა და ჯანმრთელი ადამიანების სისხლში გლუკოზის დონეს ამცირებს ისე, რომ ამას ნეგატიური შედეგები არ მოჰყვება. დამატებითმა კვლევებმა გენის კიდევ ათი მუტაცია გამოავლინა. აქედან ერთის მატარებელიც თუ არის ადამიანი, დიაბეტის განვითარების რისკი 65%-ით მცირდება. მკვლევარები აცხადებენ, რომ ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, თუმცა იმედოვნებენ, რომ მომავალში, ამ კველევბის საფუძველზე, შეძლებენ დიაბეტის სამკურნალო პრეპარატის შექმნას.



# ენერგეტიკული სასმელი გულს ვნებს




ენერგეტიკული სასმელი, კოფეინის მაღალი შემცველობით გავლენას ახდენს გულისცემაზე და ზრდის გულის რიტმთან დაკავშირებული პრობლემების რისკს, — გვაფრთხილებენ გერმანელი მკვლევარები, რომელთაც ექსპერიმენტი ჩაატარეს იმის გასარკვევად, რა გავლენას ახდენს კოფეინისა და ტაურინის მაღალი შემცველობის მქონე სასმელი ახალგაზრდებზე. მონაწილეების საშუალო ასაკი 27,5 წელი იყო და ენერგეტიკული სასმელის მიღების შემდეგ, იზრდებოდა ორგანიზმის დატვირთვა და გულის მარცხენა პარკუჭში კუმშვადობა. სასმელის შემადგენლობაშია ტაურინი და კოფეინი, რომლის რაოდენობაც სამჯერ აღემატება ყავაში ან კოკა-კოლაში არსებულს და ამის გამო, ის ნეგატიურად მოქმედებს გულზე, არტერიულ წნევაზე, ყველაზე მძიმე შემთხვევებში კი იწვევს კრუნჩხვასა და უეცარ სიკვდილს.

# ნეგატიური ემოცია კენჭს აჩენს

ძლიერი ემოციური განცდის გამო, შესაძლოა, თირკმელში კენჭი წარმოიშვას, — აცხადებენ ამერიკელი მეცნიერები. მათ კვლევებში მონაწილეობა 400-მა მოხალისემ მიიღო. გაირკვა, რომ პაციენტები, ვისაც ეს დაავადება აწუხებდა, სამჯერ მეტად ჩიოდნენ საყოფაცხოვრებო თემის კონფლიქტებზე, პრობლემებზე სამსახურში და მატერიალურ მდგომარეობაზე, ვიდრე ჯანმრთელი მოხალისეები. აღსანიშნავია, რომ დღეს პლანეტის მოსახლეობის 10%-ს აქვს თირკმელში კენჭი, თანაც ეს დაავადება მამაკაცებში სამჯერ ნაკლებად გვხვდება, ვიდრე სუსტი სქესის წარმომადგენლებში

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.